პროლეტარებო უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 192 (13884) | ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

თვითთეული ადამიანის შრომითი წვლილი საზოგადოების განვითარებასა და აყვავებაში, საზოგადოების მუდმივი ზრუნვა თვითთეული მშრომელისათვის საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი თავისებურებაა. ახლა მთელ ქვეყანაში გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, რაც გამოხატავს მშრომელთა მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, მათს ენთუზიაზმსა და ინიციატივას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

ენგურჰესის მშენებლობაზე

წინ არიან გზათა მშენებლები

საიუბილეო ვახტზე პირველი დაწინაურდა ენგურჰესის მშენებლობის საგზაო განყოფილება (უფროსი ვ. ყორეფაძე), რომელმაც 10 აგვისტოსთვის დიდი გადამეტებით გაანადღა 8 თვის გეგმა. გაწეულია 2 მილიონ 200.000 მანეთის სამუშაო, შესრულებულია 1 მილიონ 600.000 კუბური მეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, დაზოგილია 60.000 მანეთი.

გეგმის შესრულებაში დაწინაურდნენ ჯვარისა (უფროსი ა. ზალაძე) და გალის (უფროსი ხ. რიფინაშვილი) გზათა მშენებლობის კოლექტივები.

პირველი დეკადის შედეგები

ხმაურობს 80 კილომეტრზე გაშლილი უნიკალური ელექტროსადგურის მშენებლობა.

ენგურჰესის მშენებლებმა შეაჯამეს აგვისტოს პირველი დეკადის მუშაობის შედეგები. შესრულებულია 1 მილიონ 300.000 მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. დაზოგილია ათასობით მანეთი.

ათდღიურში პირველობენ კაშხალმშენის (უფროსი გ. ჭყონია), გვირაბმშენის (უფროსი გ. წულეისკირი), ძალოვანი კვანძის (უფროსი აკ. ცნობილაძე) და სამოქალაქო მშენებლობის (უფროსი ა. მიქაძე) სამმართველოთა კოლექტივები.

გვირაბმშენთა გრიგადა:

იქნება 100 გრძივი მეტრი გვირაბი

ძალოვანი კვანძის მშენებელთა სამმართველოს დიდი ხანია გასცდა გივი ნადირაძის ბრიგადის წევრთა სახელი. როცა მათ გვირაბში ეწვევით, დარწმუნდებით ამ ადამიანების ძლიერებაში.

გივი ჰიდროლოგიურ პრაქტიკას პირველად ლაჯანურჰესის მშენებლობაზე ეზიარა და მერე მდიდარი გამოცდილებით ენგურს ეწვია. მალე მის კვალს მიჰყვნენ მისი ძმებიც ალიოშა და შოთა. 1964 წლიდან ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობენ.

ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს აგვისტოში გაიყვანონ 100 გრძივი მეტრი გვირაბი ნაცვლად 55 მეტრისა. 10 დღეში ბრიგადამ უკვე გაიყვანა 40 გრძივი მეტრი.

გ. ნადირაძის ბრიგადამ ენგურჰესის მშენებლობაზე პირველად გამოიყენა გვირაბგაყვანის ანკერული მეთოდი. აფეთქების შემდეგ კლდეს ვერტიკალურად ყოველ მეტრზე ბურღავენ და ბურღილში უმაღლეს შეაყავთ ბეტონი. იწოგება დიდაღი გამმაგრებელი ლითონი და სხვა საჭირო მასალა. 35 პროცენტით მცირდება სამუშაო პროცესი.

თვეში 100 მეტრი გვირაბის გაყვანით ბრიგადა მშენებლობას 30.000 მანეთის ეკონომიას მისცემს. ბრიგადის თვითეული წევრის საშუალო გამომუშავება 450 მანეთს მიაღწევს.

ყოველდღიურად გივი ნადირაძის ბრიგადის 32 ვაჟკაცი უტეხს გვირაბს. 10 კალენდარულ დღეში 40 გრძივი მეტრი გვირაბის გაყვანის სამუშაოთამშესრულებაში თავი გამოიჩინეს ძმებმა — ალიოშა და შოთა ნადირაძეებმა, ვ. ბეტრუმვამ, ვ. ჩაჩავამ, ლ. ქუნულორიამ და სხვებმა.

ლ. ბარძაია, საგუშაგოს უფროსი, კ. შანავა, ლ. სარიშვილი, საგუშაგოს წევრები

საიუბილეო ვახტზე საბჭოთა საქართველო

შრომითი ნობათები

ნახევარი მილიონით მეტი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი სასახელოდ ასრულებს საოქტომბრო ვალდებულებებს. შვიდ თვეში ნახევარი მილიონი მეტრი ზეგეგმითი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის მოცულობა 17 პროცენტით გაადიდა.

ფეიერებმა გეგმასთან შედარებით 4 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულების შემცირების გზით 160 ათასი მანეთი დაზოგეს. ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდა პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება. დაზოგილია 21245 მანეთის ნედლეული.

შრომაში განსაკუთრებთ გამოირჩინეს თავი ძაფსადღები წარმოებისა და საქსოვი წარმოების № 3 საამქროს კოლექტივებმა, რომლებსაც მ. ბენიძე და ი. მიქაძე ხელმძღვანელობენ.

დაზოგილია ლითონი, ელექტროენერგია

ცხინვალი. (საკ. კორ.) მომინანქრებული სადენების ქარხნის კოლექტივი საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას. საამქროს საამქროს ეჯიბრება, ბრიგადა — ბრიგადას. ამ გზით საწარმოს კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით გაანადღა. ამასთან ქარხნის მუშათა კოლექტივი მტკაცედ იბრძვის ლითონისა და ელექტროენერგიის მომპირნეობით ხარჯვისათვის, ბოლო ოთხ თვეში დაზოგილია 5 ტონა სპილენძი და 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ზეგეგმითი გუმბრინი

ფყალტუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა შვიდი თვის დავალება. მან ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობას 4.166 ტონა ნატეხი და 525 ტონა ზეგეგმითი დაფქული გუმბრინი გაუგზავნა.

მაღაროელებმა შრომის ნაყოფიერების გეგმას 5 პროცენტით გადამეტეს და რენტაბელობის გზით 3.000 მანეთი მოგება მიიღეს.

მწყობრში ჩადგა გუმბრინის საფქვავი ქარხნის № 4 მძლავრი აგრეგატი, რომელიც დაფქული გუმბრინის გამოშვებას 25 პროცენტით გაზრდის.

საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელა ღია კარიერების უბნის კოლექტივმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ინჟენერი მ. ხოჯავა უძღვება. ამ უბანმა 3.200 ტონა ზეგეგმითი გუმბრინი ამოიღო. კარგად შრომობენ აგრეთვე № 3 მაღაროსა და საფქვავი ქარხნის კოლექტივები, რომლებსაც გ. გოცირიძე და ჯ. მაღლაფერიძე მეთაურობენ.

არის დავალების 145 პროცენტი!

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა „ვტორჩერმეტის" ჭიათურის საწარმოო მიმღები მოედნის კოლექტივმა. საიუბილეო წლის პირველ ნახევარში მან 700 ტონის ნაცვლად შეაგროვა და მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა 1.149 ტონა შავი ლითონის ჯართი და დავალება 145 პროცენტით შეასრულა. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ფერადი ლითონის გადარჩენა-გაგზავნის სახელმწიფო დავალება.

ს. სამხარაძე.

„ვტორჩერმეტის" ჭიათურის საწარმოო მიმღები მოედნის გამგე.

ქაღალდის კომბინატის საქმეები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საიუბილეო ვახტზე მდგომი ქართველი მქაღალდეები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ქაღალდის კომბინატმა (დირექტორი ო. ფაცაცია) საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 101,4 პროცენტით გაანაღდა. შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა 1,2 პროცენტით. გაწეულია დიდაღი სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია.

გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს ფართო მოხმარების საგნების ფაბრიკის, საფუარის ქარხნისა და ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივებმა. შვიდ თვეში მათ გეგმის გადამეტებით დაამზადეს 114.400 ცალი სასკოლო და 25.000 საერთო რვეული, 62 ტონა საფუარი, 42 ტონა ქაღალდი.

ხიდმაღლელები პირველობენ

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). რაიონში დაწინაურდნენ სოფელ ხიდმაღლას კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. მეკვანაძე) მეჩაიეები, რომლებმაც რაიონში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის დამზადების წლიური დავალების შესრულება. ხიდმაღლელებმა უკვე მოკრიფეს 114 ტონა „მწვანე ოქრო" ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 110 ტონისა.

საუკეთესო შედეგები აქვთ ბრიგადებს, რომლებსაც დ. გოგუაძე და გ. ბოლქვაძე ხელმძღვანელობენ.

ჩაის უხვი მოსავლის მოწინავენი ე. წურწუმია, ნ. კალანდაძე, ც. ძიმისტარიშვილი, თ. ვასაძე, ქ. ჯაში, ნ. გურგენაძე და სხვები ფოთლის ვალდებულების ანგარიშში კრეფენ.

კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 80 ტონა ფოთოლი მოკრიფონ.

ბორჯომელ მეცხოველეთა წარმატება

ბორჯომის რაიონის მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ცხრა თვის გეგმები. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით, რძისა — 109,8 პროცენტით, კვერცხისა — 130 პროცენტით — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა კუხიანიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კიკნაძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბარამიძემ.

ჯერეული ამინდების მიუხედავად ჩაის პლანტაციებში არ წყდება „მწვანე ოქროს" სიუხვისათვის ბრძოლა. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის საქმეში თვალსაჩინო მაჩვენებლები მოიპოვეს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა.

მოწინავეთა შორის არის ახალგაზრდა მეჩაიე **ლამზირა სვანიძე**, რომელსაც 0,8 ჰექტარზე გეგმით 2.100 კილოგრამი ნედლეული უნდა მიეღო. ენერგიული შრომით წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — მოკრიფა 2.500 კილოგრამი ფოთოლი. მისი ვალდებულებაა სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ლამზირა სვანიძე ჩაის პლანტაციაში.

ფოტო გ. გოგოხიასი.

მინდვრებსა და პლანტაციებში

თამგაქოს შეტევა

მარნეული. („კომუნისტის" კორ). რაიონში თამბაქო 2. 629 ჰექტარზეა დარგული. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობდა თამბაქოს პლანტაციების მოვლა-დამუშავება. შრომამ ნაყოფი გამოიღო — ბევრგან თამბაქოს უხვ მოსავალს იღებენ.

თამბაქოს შეტევა წარმატებით მიმდინარეობს სადახლოსა და ყულარის საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე დამიას, გორკის და ხოჯორნის კამოს სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ.

რაიონში 39 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეტეხონ. არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად უკვე შეტეხილია 12 მილიონი ზონარმეტრი.

ბათუმი. (საკ. კორ.). წელს აჭარის მეთამბაქოეებმა გეგმით 22 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო უნდა შეტეხონ. არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად თამბაქოს შეტეხვა ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში კარგად მიმდინარეობს. უკვე შეტეხილია 7.823,8 ათასი ზონარმეტრი.

ბათუმის რაიონში ნაცვლად 7.600 ათასი ზონარმეტრისა შეტეხილია 386,4 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ხულოს რაიონში ნაცვლად 7. 850 ათასისა — 2.539,4 ათასი ზონარმეტრი, ქედის რაიონში ნაცვლად 6.800 ათასისა — 2.209 ათასი ზონარმეტრი, შუახევის რაიონში ნაცვლად 6.600 ათასისა — 2.689 ათასი ზონარმეტრი.

თამბაქოს შეტეხვის საქმეში თავი ისახელეს შუახევის კოლმეურნეობამ, ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობამ, ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდის და სხვა კოლმეურნეობებმა.

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონში წელს 21,5 მილიონი ზონარმეტრი თამბაქოს შეტეხვისათვის იბრძვიან. უკვე შეტეხილია 8 მილიონი ზონარმეტრი.

თამბაქოს შეტეხვის საქმეში დაწინაურდნენ ვლადიმიროვკის ლენინის, გულრიფშის რუსთაველის და წებელდის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობები.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში

კრასნოდარი. ყუბანმა დაამთავრა პურეულის მკა. სამეფოდგმო თავთავიანი კულტურები ძომკილი და გალეწილია 1 მილიონ 800 ათასზე მეტ ჰექტარზე. ბევრმა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა ელევატორებს აწყდიან ზეგეგმითს ძარცვალს.

დაიწყო სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღება. ეს მუშაობა პირველმა დაიწყეს უსტ-ლაბინსკის რაიონის მწყთმოქმედებმა.

კუსტანაი. მარცვლეულს მკა დაიწყო კუსტანაის ოლქის ყველა რაიონმა. პურეული მომკილია აქ პირველ 500 ათას ჰექტარზე. და თითქმის ყველა რაიონი შეუდგა სახელმწიფოსადმი პურის მიყიდვას.

კიევი. სიმინდის მოსავლის მასობრივი აღება დაიწყო უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მოსავალი აღებულია თითქმის ორ მილიონ ჰექტარზე, რაც 400 ათასი ჰექტარით მეტია, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ დროისათვის.

მინსკი. საშემოდგმო პურეულს თესავენ ბელორუსიის მეურნეობანი, სადაც ამ კულტურას დათმობილი აქვს მთელი სახნავის მესამედი. ფართოდ ფეხს ავიკიდებ და ხორბლის ძასიები ამოშრობილ ტორფნარებში. ბევრი მეურნეობის მექანიზატორები ორ ცვლად მუშაობენ: ღამით ამზადებენ ხიადგს, დღისით კი თესავენ.

ბაკო. აზერბაიჯანში კარტოფილის ყველაზე უხვი მოსავალი — ჰექტარზე საშუალოდ 133 ცენტნერი — მოიწია ტაუზის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის ნაგი ალიარზაევის ბრიგადამ. ეს საბჭოთა მეურნეობა განლაგებულია მცირე კავკასიონის ფერდობზე. მექანიზატორებმა რესპუბლიკაში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს, რომ შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი.

ალმა-ატა. ყაზახეთის მეტ წილ ოლქებში დაიწყო კარტოფილის მოსავლის აღება. კარტოფილის ნათესები რესპუბლიკაში ახლა გაფართოებულია. კარტოფილი ძირითადად ბრეზეკის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც აქ ასზე მეტია. (საკ.).

ჰიდროლოგთა საერთაშორისო თათბირი

ლენინგრადი, 15 აგვისტო. (საკ.). დღეს ლენინგრადში გიიხსნა ჰიდროლოგთა საერთაშორისო თათბირი, რომელიც ეძღვნება წყალდიდობის შესწავლის პრობლემას. თათბირი მოაწყო იუნესკომ საბჭოთა მეტეოროლოგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

პლანეტის წყლის რესურსების გამოყენება შეუძლებელია წყლის დაწინაურებ, უწინარეს ყოვლისა, წყალდიდობის დროის ჩადინების მოეწესრიგებლად, უთხრა საკვლევის კორესპონდენტს თათბირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. ურიეევმა. ეს რატომ ენიჭება უპირველესი მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნის ჰიდროლოგების აზრთა გაზიარებას.

ვ. ა. ურიეევმა აღნიშნა, რომ წყალდიდობის შესწავლისა და გაანგარიშების საბჭოთა გამოცდილება გაშექებული იქნება 36 მოხსენებაში, თათბირზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ 30-ზე მეტი სახელმწიფოს ჰიდროლოგები, განიხილავენ წყლის ადიდების პირობებს, ჩადინების გაანგარიშების მეთოდებს, კვლევისათვის მათემატიკური სტატისტიკის გამოყენების საკითხებს.

ბალეტი - ჰიმნი ხელოვნებას

ტაჯიკი ხალხის გმირობა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა კაცობრიობის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, მისი სიუკარული სამშობლოსადმი, ღრმა ინტერნაციონალიზმი, ლამაზი და დიდი ხული ასახა ტაჯიკეთის სადრიდან აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო სცენაზე. მამაცობის ქორეოგრაფიული ჰიმნი გახდა ი. ტერ-ოსიპოვის ახალი ბალეტი „მამულიშვილი", რომლის პრემიერა წარმატებით უჩვენეს დუშანბელებს სეზონის დახურვის წინ. მისმა ავტორმა შ. კიამოვმა ლენინრეტოს საფუძველად დაუდო ტაჯიკეთის სახალხო პოეტის, ლენინური პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის მ. ტურსუნ-ზადეს ამავე სახელწოდების ცნობილი პოემა. (საკ.).

ადამიანი—ლეგენდის ქვალდაქვალ

ბოგოძარი ფიანჯის თავზე ციცაბო კლდეზე მოიკვლევს გზას სახიფათო ბილიკით სამი მგზავრი. ორი მათგანი მთიელია, მესამე — შორეული ქვეყნიდან ჩამოსული. მაგრამ რატომ გვეცნობა ასე დღევანდელ მაყურებლებს მისი სახის ღიმა, ვაჟკაცური ნაკვთები? აბა დავაკვირდეთ — დიახ ეს არის იულიუს ფუჩიკი. ლეგენდარული მწერალი-კომუნისტი, ჩეხოსლოვაკიის სახალხო გმირი. 30-იანი წლების დამდეგს ფუჩიკი რამდენჯერმე იყო შუა აზიის რესპუბლიკებში, მათ შორის ტაჯიკეთში, თავის ნარკვევებში დასტატა საბჭოთა აღმოსავლეთის გრანდიოზულ გარდაქმნათა შესანიშნავი სურათი.

...ეს ტილო ცნობილი მხატვრის ა. კამელინის ნამუშევარია.

ათასობით კილომეტრი გაიარა მხატვარმა იულიუს ფუჩიკის კვალდაკვალ მთის გზებითა და საქარავნო ბილიკებით, შუა აზიის ხმაურიანი ქალაქებითა და შორეული ყიშლაქებით. მოგზაურობის დროს მისი კომპასი იყო შესანიშნავი მწერლის ნარკვევების წიგნი, ხოლო მუდმივი თანამგზავრები გახდნენ საეტიუდე და ყალმები. ა. კამელინი იყო ფერგანისა და ჩუს ხეობების კოლმეურნეობებში, ოშ-ხოროგის მაღალი მთის ტრაქტზე, ხვდებოდა ადამიანებს, რომლებიც ახლო იცნობდნენ ფუჩიკს. განსაკუთრებით ბევრი საინტერესო რამ უამბო მას მოხუცმა მწყემსმა გარიბ ნაჯიბოევმა, პამირის ფუჩიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა. ოდესღაც ნაჯიბოევი მწერლის მეგზური იყო დარვაზის კლდიან ლაბირინთებში.

მხატვრის ყველა მოგზაურობის, ძიების, შესვლერის ნაყოფია სერია ფერწერული ტილოებისა „აქ იყო იულიუს ფუჩიკი". ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ კომუნისტს ალიოს ხეობის მწყემსებთან, მურღა ნ.ის თოვლიან მთებზე, სტუმრად ერთ-ერთი ინტერნატის ბავშვებთან დუშანბეს მახლობლად, ყირგიზულ ტილოებს ცვლის სამხსოვრო ადგილების პეიზაჟები. მათ შორის არის ხედი — ფუჩიკის პიკი პამირზე. ტაჯიკეთის ერთ-ერთმა უუცვლამ მხატვარმა ა. კამელინმა, მისი კოლეგების აზრით, შეძლო საოცრად ზუსტად დაეხატა იმ შორეული წლების არა მარტო ყოფა-ცხოვრება, არამედ მრომითი აღმავლობაც.

ხალხები შენთან არიან, ვიეტნამო!

ჰაბანა, 25 ათასზე მეტმა ჰოლანდიელმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკამ უსიტყვოდ შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა. ჰოლანდიის ვიეტნამის მშვიდობისათვის მოქმედების კომიტეტის პეტიციას წარუდგენს ამ ქვეყნის პარლამენტს.

კაირო. ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებზე უაღრესად საშიში ნაბიჯია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომის შემდგომი ესკალაციის გზაზე, ნათქვამია აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

მუდმივი სამდივნო მოუწოდებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს გაილაშქროს ამერიკის მხედრიონის ახალი დანაშაულის წინააღმდეგ.

ვაშინგტონი. სამმა გამოჩენილმა ამერიკელმა სენატორმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ომის გაფართოება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სენატში მაიკ მენსფილდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოახდინა „ომის მეტად საშიში ესკალაცია". „სულელური და საშიში ნაბიჯი" უწოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გაძლიერებას სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უილიამ ფულბრაიტმა. გავლენიანმა სენატორმა რესპუბლიკელმა ჯონ შერმან კუპერმა ამ ბოლო ხანებში მესამედ მოუწოდა მთავრობას დაუყოვნებლივ ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა.

სულ უფრო მეტი ამერიკელი კანონმდებელი ადგება იმ აზრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ომის გაფართოება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სენატში მაიკ მენსფილდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მოახდინა „ომის მეტად საშიში ესკალაცია". „სულელური და საშიში ნაბიჯი" უწოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გაძლიერებას სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უილიამ ფულბრაიტმა. გავლენიანმა სენატორმა რესპუბლიკელმა ჯონ შერმან კუპერმა ამ ბოლო ხანებში მესამედ მოუწოდა მთავრობას დაუყოვნებლივ ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა.

ბონი. ჰამბურგის ეკონომიკური „შპიგელი" წერს, რომ სრულიად ჩაიშალა შეერთებული შტატების ცდები უზრუნველეყო ვიეტნამში აგრესიის წარმატება იმით, რომ ახორციელებს ტერორისტულ საჰაერო თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ეკონომიკური ჟურნალი ხაზს უსვამს, რომ ამერიკის ავიაციის მიერ ამ სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვის გაძლიერება „შეერთებულ შტატებს გამარჯვებას კი არა, მთელი კაცობრიობის ზიზღს მოუპოვებს".

„შპიგელი" წერს, რომ „ვიეტნამის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს".

(საკდესი).

პოლონეთის ექსპორტი

ვარშავა. ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე პოლონეთმა საექსპორტოდ გაიტანა ასი ათას ერთეულზე მეტი რკინიგზის მორიგი შემადგენლობა, პოლონეთის პროდუქციის ყველაზე დიდი მყიდველები საბჭოთა კავშირი და უნგრეთია. მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე სსრ კავშირში გაიგზავნა 180 სამგზავრო და 2.500 სხვადასხვა ტიპის საბარგო ვაგონი.

არგენტინაში იზრდება სიძვირე და უმუშევრობა

ბუენოს-აირესი, 16 აგვისტო. (საკდესი). არგენტინაში კვლავ გაძვირეს ძირითადი საკვები პროდუქტები, გაზეთი „კრონიკა" წერს, რომ ამ ბოლო დროს არგენტინაში ცხოვრება აუტანელი გახდა.

მატულობს უმუშევართა რიცხვი, უცხოეთის უდიდესმა კომპანიებმა „კრაისლერმა", „ჯენერალ მოტორსმა", „დეკამ" გამოაცხადეს, რომ თავიანთი საწარმოებიდან მასობრივად ითხოვენ მუშებს. არგენტინის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მონაცემებით, ახლა რესპუბლიკაში 1,3 მილიონი კაცია მთლიანად თუ ნაწილობრივ უმუშევარი.

ყოველი მხრიდან

უცხოეთის პრესაში

უცხოეთის პრესის ცნობები მოწმობენ, რომ მთელ მსოფლიოში ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გაფართოების წინააღმდეგ. **ინგლისის „დეილი ექსპრესი"** აღნიშნავს, რომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრიობა მკვეთრად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ვიეტნამის ომის შემდგომი ესკალაციის გამო. ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ, რომელმაც სანქცია მისცა ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციას თავს დასხმოდა ახალ ობიექტებს ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე, წერს **დასავლეთ გერმანიის „ფრანკფურტერ რუნდშაუ"**, კიდევ უფრო გაძლიერა კრიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში. **ლონდონის „მორნინგ სტარი"** წერს, რომ ბრიტანეთის ვიეტნამის მშვიდობის საბჭოსა და ატომური განიარაღებისათვის მოძრაობას განზრახული აქვთ 19 აგვისტოს ტრაფალგარის მოედანზე მთაწყობ მასობრივი მიტინგი, რათა მოსთხოვონ ინგლისის მთავრობას, რომ გაემიჯნოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში.

საფრანგეთის „კომბას" მიაჩნია, რომ ამერიკის სარდლობის ახლანდელი ტაქტიკა ვიეტნამში, რომელიც, კერძოდ, თვალწინაშია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის გაფართოებას, ჩაფუშვისთვისაა განწირული.

ამერიკის პრესა წერს, რომ მიჩიგანის შტატის გუბერნატორმა რომნიმ, რომელსაც პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ერთ-ერთ კანდიტატად თვლიან, დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა ვიეტნამის საქმეებში.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, რომნიმ თქვა, რომ ეს ჩარევა „ამერიკის შეერთიერული შტატების ტრაგიკული შეცდომაა". **„ნიუ-იორკ ტაიმსის"** საგარეო კორესპონდენტი წერს, რომ ამერიკის სარდლობამ გადაწყვიტა განალგოს ჯარები იმ რაიონებში, სადაც საგონის რეჟიმს განზრახული აქვს 3 სექტემბრის ეგრეთ წოდებული „არჩევნების" ინსცენირება.

საფრანგეთის „ლუმანიტე" წერს, რომ ჩიეშალა ამერიკის სადამსჯელო ოპერაცია „პორტლენდი" საიგონის ჩრდილოეთით. როგორც გაზეთი წერს, ამერიკის ჯარებმა ვერ შეძლეს „კონტაქტი დაემყარებინათ" სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის ნაწილებთან.

იუგოსლავიის პრესა დიდ ადგილს უთმობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიტოს ვიზიტ ერაყში. **„ბორბა"** წერს, რომ პრეზიდენტი ტიტო დღეს დაბრუნდება ირაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში და პრეზიდენტ ნასერთან განაგრძობს აზრთა გაზიარებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ.

რუბრიკიო „საბჭოთა ქვეყნის საოქტომბრო პანორამა" **ბულგარეთის „ოტეჩესტვენ ფრონტი"** ბეჭდავს ნარკვევს ციმბირის განვითარების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო" აჯამებს ჩეხოსლოვაკიის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის შეჯიბრების შედეგებს. ეს შეჯიბრება ჩეხოსლოვაკის სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიშალა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. (საკდესი).

საქართველოს სსრ



მონრეალი. მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“. სურათზე: მრავალი დამთვალიერებელი ეცნობა საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციას. ფოტო ე. კასინისა. (საკადრის ფოტოქრონიკა).

მონრეალის მსოფლიო გამოფენა

სსრ კავშირის ეროვნული დღე

მონრეალი, 15 აგვისტო. საკადრის სპეციალური კორესპონდენტები ვ. მიხაილოვი და ს. ფროლკინი გვატყობინებენ:

დღეს მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67“ სსრ კავშირის ეროვნული დღეა.

...ერთა მოედანი „ექსპო-67“-ის ქალაქში. ტრიბუნები, რომლებიც მოედანს ამფითეატრად ერტყმიან გარს, ხალხითაა გაჭედილი. მოასფალტებული მოედანი ივსება ფერად ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილეებით. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა რიგებში ფრიალებს თხუთმეტივე საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. მთავარ ტრიბუნასთან ჩამწკრივდა საპატიო ყარაული — კანადის შეიარაღებული ძალების სამხედრო მეზღვაურები.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის დელეგაციას და მის მეთაურს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დ. ს. პოლიანსკის, როცა ისინი ცენტრალურ ტრიბუნაზე შემოვიდნენ. დელეგაციას მიესალმა მსოფლიო გამოფენის გენერალური კომისარი პიერ დიუპუი.

შემდეგ აღლერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია, რომელსაც ბანი მისცა ქვემეხთა სალუტმა, და ფლაგშტოკზე აღიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა **პიერ დიუპუიმ.** ძირეულ გარდაქმნებში, რომლებიც ახლა ჩვენს პლანეტაზე ხდება, თქვა მან, საბჭოთა კავშირი წამყვან როლს ასრულებს. ამიტომ გასაგებია უდიდესი ინტერესი, რომელსაც „ექსპო-67“-ზე საბჭოთა პავილიონი იწვევს. გამოფენის მილიონობით სტუმარი, რომლებმაც უკვე დაათვალიერეს ეს პავილიონი, გრძელი რიგები ამ პავილიონთან, საუკეთესოდ ადასტურებენ, რომ სსრ კავშირის პავილიონი ჯეროვნად დააფასეს.

შემდეგ დიუპუიმ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი ფართოდ მონაწილეობს მსოფლიო გამოფენაში, ხაზგასმით აღნიშნა საქმიანი თანამშრომლობის სულისკვეთება, რომლითაც სსრ კავშირის წარმომადგენელები ეკიდებიან გამოფენის ორგანიზატორთა ყველა წინადადებას. დღეს, განაცხადა გამოფენის გენერალურმა კომისარმა, წელად გვხვდა დიდი პატივი — ჩვენ გვიწვია საბჭოთა კავშირის დელეგაცია — დიდი ქვეყნის, დიდი ხალხის წარმომადგენლები და ჩვენც გულითადად ვეუბნებით სტუმრებს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა **დ. ს. პოლიანსკი.**

დ. ს. პოლიანსკის სიტყვა

საბჭოთა კავშირი, განაცხადა დ. ს. პოლიანსკიმ, „ექსპო-67“-ში მონაწილეობს არა მარტო იმიტომ, რომ მსოფლიო გამოფენების მოწყობა საერთაშორისო თანამშრომლობის კარგი ტრადიციაა. ჩვენი მონაწილეობით გვინდოდა აგრეთვე გამოგვეხატა გულწრფელი სიმპათიები და კეთილი გრძნობები კანადელებისადმი — ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებისადმი, რომლებიც წელს კონფედერაციის 100 წლისთავს აღნიშნავენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, განაცხადა შემდეგ საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა, დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოების ხალხთა ინტერესებს და ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

გვახარებს, თქვა დ. ს. პოლიანსკიმ, რომ ასეულ ათასობით კანადელი, რომლებიც ჩვენს პავილიონს დაათვალიერებენ, უკეთ გაიცნობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას, უფრო ახლო გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

წლევანდელი წელი ჩვენთვის განსაკუთრებული, სადღესასწაულო წელია; ნოემბერში ჩვენ აღვნიშნავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, საბჭოთა სახელმწიფოს დაბადების თარიღს, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა. ნახევარ საუკუნეში ჩვენმა ქვეყანამ ჩამორჩენილობისაგან პროგრესისაკენ განვლო დიდი და რთული გზა. ძველ რუსეთს უმნიშვნელო ადგილი ეკავა მსოფლიო ეკონომიკაში. ახლა საბჭოთა კავშირი აწარმოებს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 20 პროცენტს. ჩვენ მოგვწონს გამოფენის დევიზი „ადამიანი და მისი სამყარო“, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში გამოცხადებულია და პრაქტიკულად ხორციელდება პრინციპი „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

მშვიდობა და უშიშროება, ხაზგასმით აღნიშნა დ. ს. პოლიანსკიმ, ყველა ხალხს სჭირდება, ვინაიდან მშვიდობა და სოციალური პროგრესი განუყოფელია. სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა ახსტრაქტული იდეა კი არა, ობიექტური ისტორიული აუცილებლობაა. ამიტომ, აღნიშნა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა, ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ იმპერიალისტური აგრესიების წინააღმდეგ, ვიბრძვით საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი და სამართლიანი გადაჭრისათვის.

სიტყვის დასასრულს დ. ს. პოლიანსკიმ გულითადი მადლობა გადაუხადა ქალაქ მონრეალის მცხოვრებთ, კვებეკის პროვინციის ხელისუფალთ, კანადის ხალხსა და მთავრობას გულითადი მასპინძლობისათვის, მეგობრული გრძნობებისათვის საბჭოთა ადამიანებისადმი.

დ. ს. პოლიანსკის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად ისმოდა ტაში.

ერთა მოედანზე გამართული საზეიმო ცერემონიის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრები და კანადელი სტუმრები ეწვივნენ საბჭოთა პავილიონს და დაათვალიერეს მისი ექსპოზიცია.

სსრ კავშირის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით მსოფლიო გამოფენის გენერალურმა კომისარმა პიერ დიუპუიმ საუზმე გაუმართა საბჭოთა კავშირის დელეგაციას.

ამავე დღეს საბჭოთა დელეგაციამ დ. ს. **პოლიანსკის** მეთაურობით დაათვალიერა კანადის **პავილიონი** და კანადის **პროვინციების** — ონტარიოსა და კვებეკის **პავილიონები.**

„ექსპო-67“-ის სსრ კავშირის პავილიონში სსრ კავშირის სექციის გენერალურმა კომისარმა ბ. ა. **ბორისოვმა** დიდი დარბაზობა გაუმართა **დ. ს. პოლიანსკის** და საბჭოთა დელეგაციის **წევრებს.**

დასასრულ, სსრ კავშირის პავილიონის კინოთეატრში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის დიდი თეატრის, კიევის ოპერის, ლიტვის ოპერის, უკრაინის ბ. გ. ვერიოვკას სახელობის სახელმწიფო დასახელებული სახალხო გუნდის წამყვანი მასახიობები, აგრეთვე სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, საქართველოს ხელოვნების ოსტატები, რომლებიც ამჟამად საგასტროლოდ არიან კანადაში.

ქართული ანსამბლი მონრეალში

საბჭოთა კავშირის ეროვნული დღის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მონრეალში ჩავიდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მოსკოვისა და მოძმე რესპუბლიკების სცენის ოსტატები.

ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მსახიობებიც. ეს არის ქართული ხალხური ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელები არიან **ი. ზედაშიძე** და **გ. ბერაძე.**

ანსამბლში თექვსმეტი მოცეკვავეა. პროგრამაშია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვები. ანსამბლის ხელმძღვანელები თვითონაც იღებენ კონცერტში მონაწილეობას.

მასამბა-დებას გამოსვლა

ბრაზავილი, 15 აგვისტო. საკადრის კორესპონდენტი ვ. რაიკერუსი გვატყობინებს:

ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალფონს მასამბა-დებამ, რომელმაც დღეს სიტყვა წარმოთქვა 1963 წლის აგვისტოს რევოლუციის 4 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, კვლავ დაადასტურა, რომ ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თანმიმდევრულად განახორციელოს მეუმხრობლობის პოლიტიკა. კონგო ესწრაფვის, თქვა მან, შეიტანოს წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში.

ნეიტრალიტეტი, ხაზგასმით აღნიშნა მასამბა-დებამ, სულაც არ ნიშნავს, რომ გულგრილად ვეკიდებით მოვლენებს, რომლებიც მსოფლიოში ხდება. ჩვენ არასოდეს არ დავუკრავთ ტაშს პორტუგალიელ კოლონიზატორთა ბარბაროსობას, ამერიკელთა სასანდალურ ვანდალიზმს ვიეტნამში, თუ დაქირავებულთა თარეშს მეზობელ კონგოში.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყანა მზად არის განაგრძოს ბრძოლა ყველა ფორმის იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. მათი ყველა გამოვლინების წინააღმდეგ. ამავე დროს მან მხარი დაუჭირა მეგობრობას ყველა ქვეყანასთან, რომლებიც პატივს სცემენ ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

პრეზიდენტმა მოიწოდა კონგოელ ხალხს კიდევ უფრო განმტკიცონ ეროვნული ერთობა, რომელიც, როგორც მან თქვა, „დამოუკიდებლობისა და მშვიდობის შენარჩუნების ძირითადი ფაქტორია“.

მზარდი ინტერესი

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკადრის). ინგლისის დიდმა გამომცემლობამ „პინგვინ ბუქსმა“ გასაყიდად გამოუშვა ფრანდრინ ენგელსის რჩეული ნაწარმოებთა კრებული. როგორც გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, ინგლისის გამომცემლთა სულ უფრო მეტი ნაწილი აქვეყნებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება ინტერესი მარქსიზმისადმი არა მარტო მუშებს შორის, არამედ ინგლისის საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებშიც.

ჩაიშალა კუბის საწინააღმდეგო ბლოკადა

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკადრის). ვაშინგტონის ცდები, ძირი გამოუთხაროს კუბას ეკონომიური ბლოკადით, იფუშება. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამმართველო აუწყება, სავაჭრო საკონელი თავისუფლების კუნძულზე იმ ქვეყნების გემებსაც კი ჩაეკეთ, რომლებიც ვაშინგტონს თავის მოკავშირეებად მიიჩნევა. სამმართველოს მონაცემებით 1963 წლის 1 იანვრიდან დღემდე კუბაში ჩავიდა ამ სახელმწიფოთა 1.451 გემი.

ინგლისელ ჯაპარნებს კუბის ნაპირებისაკენ 585 გემი დაჰყავთ. 247 გემი ლიბანის ნავსადგურებისა, 95 — საბერძნეთის. შემდეგ ადგილზე არიან იტალიელი და კიპროსელი მეზღვაურები.

დამსჯელთა ზარალი

ჰანოი, 15 აგვისტო. (საკადრის). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს განთავისუფლების საავიერტო და გვატყობინებს, რომ აგვისტოს პირველ რიცხვებში კუანგნამის პროვინციის ზუისეუნლის რაიონში ამერიკელ დამსჯელთა წინააღმდეგ სამი დღის ბრძოლების დროს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 300 ამერიკელი ჯარისკაცი.

ამ ბრძოლების დროს პატრიოტებმა ჩამოაგდეს აგრეთვე ამერიკის 2 თვითმფრინავი, მოსპეს 10 ჯავშანტრანსპორტიორი და ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა.

საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობისათვის

ჟენევა, 15 აგვისტო. საკადრის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი გვატყობინებს:

ჟენევის ერთა სასახლეში დღეს გაიხსნა ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს სესია, რომლის მთავარი ამოცანაა მოამზადოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეორე კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე.

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე აქვე, ჟენევაში გაიმართა 1964 წლის ზაფხულში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 120 ქვეყანა. ჟენევის კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობას სამართლიან და თანასწორუფლებიან საწყისებზე იმით, რომ დაამკვიდრა „საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობისა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპები“. ამ პრინციპთა განხორციელებით ნამდვილად განსაკუთრებულად დაინტერესებული არიან აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ მოსპონ ვაჭრობის დისკრიმინაციული პირობები.

მაგრამ ჟენევის 1964 წლის კონფერენციის ბევრი რეკომენდაცია არ სრულდება იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის მთელი რიგი სხვა ქვეყნები. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი დასავლელი პარტნიორები დაინტერესებული არიან არა საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალიზაციით, არამედ იმით, რომ შეინარჩუნონ არათანასწორუფლებიანი ეკონომიური ურთიერთობის სისტემა, შექმნან ახალი დაბრკოლებანი საქონლის თავისუფალი გაცვლის გზაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეორე კონფერენციამ ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე, რომლის მოწყობა გათვალისწინებულია ინდოეთის დედაქალაქ დელიში 1968 წლის თებერვალ-მარტში, ხელი უნდა შეუწყოს ჟენევის 1964 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებას — ასეთია ვაჭრობისა და განვითარების საბჭოს სესიის მონაწილეთა უმრავლესობის აზრი. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ 55 ქვეყნის დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ტ. გრიშინი.

მოლაპარაკება დაიწყო

ვაშინგტონი, 15 აგვისტო. (საკადრის). დღეს აქ დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის კიზინგერის მოლაპარაკება, რომელიც ორ დღეს გასტანს. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ამერიკის მხრივ — ვიცე-პრეზიდენტი ჰემფრი, სახელმწიფო მდივანი რასკი, თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, ფინანსთა ძინისტრი ფაულერი, დასავლეთ გერმანიის მხრივ — ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბრანდტი.

მოლაპარაკების დაწყების ცერემონიის დროს ჯონსონმა და კიზინგერმა სიტყვები წარმოთქვეს.

პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს მოლაპარაკება „განამტკიცებს იმ დიდ ნდობასა და თანამშრომლობას, რომელიც არ ორი ქვეყნის ურთიერთობაშია“. როგორც ჯონსონმა თქვა, მოლაპარაკება ძიძღვნება ნატოს ეფექტურობის საკითხებს, ევროკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინ მდგარ „მრავალ დიფერენციალურ პრობლემას“.

„ჩვენ ჩვენი მთავრობებს ყურადღება, თქვა ჯონსონმა, მიპყრობილია ევროპისადმი, ამერიკის შეერთებულნა შტატებმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უნდა შეასრულონ „უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვალეობანი მაოფლიოს სხვა კონტინენტებზეც“. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამარჯვა პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში.

საპასუხო სიტყვაში ბონის კანცლერმა ჯონსონს აღუთქვა, რომ დასავლეთი გერმანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, შეძლებისდაგვარად გაიზრდიან ისოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე მოვალეობათა მისაღებლად „ტვირთს“ დასავლეთის ინტერესებისათვის.

დასავლეთგერმანელმა მოღვაწემ ვამინგტონს აღუთქვა, რომ ძალღონეს არ დაიშურებს ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო ბლოკის გაძლიერებისათვის.

ჯონსონისა და კიზინგერის განცხადებანი

ვაშინგტონი, 16 აგვისტო. (საკადრის). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კიზინგერმა გუშინდელი დღის განიხილეს ნატოს შეიარაღებული ძალების განმტკიცების, ჩრდილო-ატლანტიკური „ალიანსის ჯარების რაოდენობისა და დისლოკაციის საკითხები, ევროპის პრობლემები, ატომური იარაღის გაფრცელებლობის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის, ამერიკასა და დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის მდგომარეობის საკითხები. ეს თქვეს თეთრ სახლში „კორესპონდენტებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა ჯონსონმა და კანცლერმა კიზინგერმა.

პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ „კიზინგერთან მიადწია შეთანხმების ნატოს გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჯონსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობის არ მიუღიათ რაიმე გადაწყვეტილებანი დასავლეთ ევროპაში განლაგებული ჯარების კონტინგენტის შემცირების შესახებ.

ბუდაპეშტი. უნგრელი არქიტექტორები მუშაობენ ყრილობათა სახლის პროექტზე. სახალხო აივანი მოძმე სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში. სურათზე: სახალხოს დიდი სამბლოკიანი შენობის მაკეტთან. ფოტო მტი-საკადისა.

სხვადასხვა ერთობლივ მეორდიანობა

ტიტო კაიროში ჩავიდა

კაირო, 16 აგვისტო. (საკადრის). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც არაბულ ქვეყნებში მოგზაურობს, დღეს კაიროში ჩამოვიდა.

იუგოსლავიის სახელმწიფოს მეთაურს აეროპორტში შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი და სხვა ოფიციალური პირნი.

აგრესორი მაღიზეა

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკადრის). ისრაელიდან მოსული ცნობები შეიცავენ ამ ქვეყნის ლიდერების ახალ-ახალ ექსტრემისტულ განცხადებებს, რომლებიც ამხილებენ ტელ-ავივის მმართველი წრეების პოლიტიკის ექსპანსიონისტურ შინაარსს. თავდაცვის მინისტრის გენერალ დაიანის აგრესიული გამოსვლების შემდეგ გამოვიდა ეშკოლის მთავრობის შრომის მინისტრი იგალ ალონი, რომელმაც, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ტელევიზიელი კორესპონდენტი წერს, უცაბედად განაცხადა, რომ სირიას არ დაუბრუნებენ ტერიტორიას, რომელიც დაიპყრეს ამ ქვეყანაზე იერიშის თავდასხმის შედეგად.

ალონმა სიტყვა წარმოთქვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა კრებაზე. შეეხო რა ისრაელის აღმოსავლეთ საზღვრებს, შრომის მინისტრმა განაცხადა, რომ საზღვარი უნდა გასდევდეს მდინარე იორდანს, ესე იგი მთელი დასავლეთი ნაპირი, რომელიც იორდანიას ეკუთვნის, მაგრამ აგრესორმა დაიპყრო, ისრაელს უნდა დარჩეს. მინისტრმა მოუწოდა ისრაელის სოფლის მოსახლეობას „დასახლდეს“ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე.

იზრდება სამხედრო ხარჯები

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკადრის). ახალ საფინანსო 1967-1968 წლს ავსტრალიის სამხედრო ხარჯები გაიზრდება 18 პროცენტით და შეადგენს 1.118 მილიონ ავსტრალიურ დოლარს, განაცხადა გუშინ ავსტრალიის ფინანსთა მინისტრმა უილიამ მაკმაჰონმა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს კანბერელი კორესპონდენტი.

ავსტრალიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ მიმდინარე საფინანსო წელს მოსალოდნელი არ არის გადასახადის არაგითარი შემცირება, პირიქით, გაიზრდება საფოსტო მომსახურებისა და საჰაერო გადახდევის გადასახადები.

კანბერა, 16 აგვისტო. საკადრის კორესპონდენტი ვ. ხმარა გვატყობინებს:

ავსტრალიის 1967-1968 საფინანსო წლის ბიუჯეტით, რომელიც გუშინ შეიტანეს ავსტრალიის პარლამენტის განსახილველად, გათვალისწინებულია სამხედრო ხარჯების გაზრდა 18 პროცენტით (ვასულ წელთან შედარებით), რაც მთლიანად შეადგენს მილიარდ ას თვრამეტ მილიონ ავსტრალიურ დოლარს. ამ თანხიდან უშუალოდ ვიეტნამის ომის ხარჯები გაიზრდება 40 პროცენტით.

მდგომარეობა ნიგერიაში

ლაგოსი, 16 აგვისტო. (საკადრის). ნიგერიის ფედერალური მთავრობის ჯარები ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და ზღვიდან კვლავ წინ მიიწევენ შუა დასავლეთის შტატის მთავარ ქალაქ ბენინისაკენ.

ერთი კვირის წინათ ეს ქალაქი დაიკავეს აღმოსავლეთ ოლქის ჯარებმა, რომელმაც თავი ბიაფრის რესპუბლიკად გამოაცხადა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბრიგადის გენერალს ბონჯოს, რომელიც ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, განზრახული აქვს შუა დასავლეთის შტატის ტერიტორიაზე შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ფედერალური მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფედერალური შეიარაღებული ძალები ამ შტატში მოქმედებენ ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობასთან თანამშრომლობით. ფედერალური მთავრობის მეთაურმა იაკუბუ გოვონმა გამოთქვა რწმენა, რომ მდგომარეობა მალე მოწესრიგდება.

აღმოსავლეთი ოლქის ტერიტორიაზე ფედერალური ჯარები ჩრდილოეთიდან წინ მიიწევენ ოლქის ცენტრის ქალაქ ენუგუს მიმართულებით. ზოგიერთი მონაცემებით, ჯარებმა უკვე გაიარეს ქალაქი ონი.

დაძაბული ვითარება შეიქმნა დასავლეთის შტატის დედაქალაქ იბადანში. არეულობის შემდეგ, რომელსაც ტომთა შეტაკების ხასიათი ჰქონდა, ქალაქში შემოიღეს კომენდანტის საათი. როგორც იბადანის რადიო იუწყება, შტატის სამხედრო მოსამსახურეებსა და პოლიციელებს დაერთო ნება შეხედულებისამებრ დააპატიმრონ ხალხი.

ფედერაციის დედაქალაქ ლაგოსში აგრეთვე განახორციელეს გამაფრთხილებელი ღონისძიებანი. კომენდანტის საათი არ შემოუღიათ, მაგრამ ქალაქის ჭეჩრებს პატრულობენ პოლიციისა და ჯარისკაცთა რაზმები.

სად გაქრა გემი?

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკადრის). „მფრინავი ჰოლანდიელის“ მრისხანე აჩრდილი გამოჩნდა ალიასკის ნაპირებთან. ამჯერად იგი მოგვეგლინა „ლიბერტის“ ტიპის ამერიკული ტრანსპორტის სახით, რომელიც დატვირთულია 3000 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებით — ძველი ნაღმებით. ტორპედებით, ყუმბარებით, გრანატებით. ეს ტრანსპორტი წინა კვირას უნდა აეფეთქებინათ წყალქვეშ ატომურ აფეთქებათა რეგისტრაციის ამერიკული სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის წარმოებული კვლევების თანახმად, და თუმცა ყველა კინსტონი გაიღეს, გემი დიდხანს არ იძირებოდა. შემდეგ იგი ქარმა წაიღო და ხშირ ნისლში გაქრა. ვარაუდობენ, რომ გემი მაინც ჩაიძირა, მაგრამ უფრო თავზოხელ ადგილას, რადგანაც არ ჩაირთო ამფეთქები, რომლებიც 4000 ფუტ სიღრმეზე უნდა ჩართულიყო. მიუხედავად ამისა ყველა გემს დაბეჯითებით აფრთხილებენ გვერდი აუარონ ამ რაიონს. დაარგული ტრანსპორტის ძებნა გრძელდება.

„ექსპო-67“ — შეინიშვნები

ცოტაოდენი იუმორი

მონრეალის მსოფლიო გამოფენამ 28 ივლისს თავისი ექვსი თვის გზის ნახევარი გაიარა. მრიცხველებმა მის სამ შესასვლელზე 30-ე მილიონი აღნიშნეს. მაგრამ ეს გამოფენაზე მისულთა რიცხვი და არა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც გამოფენა დათვალიერეს. ამ უკანასკნელთა რიცხვი დაახლოებით სამჯერ ნაკლებია.

ზაფხულის არდადეგები რომ დაიწყო, ექსპოზე მოზღვავდნენ ვიზიტორები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მათ წილად ახლა გამოფენის დათვალიერებელთა საერთო რიცხვის 63 პროცენტი მოდის.

ექსპოზე ერთმანეთს უამბობენ ერთი ამერიკელის შესახებ, რომელიც მონრეალში თავისი ყოფნის უკანასკნელ დღეს ამაოდ ეფიცებოდა მოხეტიალეს, რომელიმე პავილიონში. პავილიონთან მდებარე რესტორანში ამერიკელმა შენიშნა ერთი სტუმარი, რომლის გამოჩენამ პერსონალის ერთგული აფუსფუსება გამოიწვია. ამერიკელმა მიაშურა მას და ჰკითხა, ხომ ვერ დამეხმარებითო.

— ვფიქრობ, რომ შეგძლებ დაგეხმაროთ, — უპასუხა სტუმარმა და გაატარა ამერიკელი.

— გმადლობთ, მეგობარო, — უთხრა იანკიმ და ხუთდოლარიანი გაუწოდა.

— მე არკის ფულს არ ვიღებ, — ღიმილით უპასუხა თანამოსაუბრემ. იგი იმ ქვეყნის ელჩი იყო, რომლის პავილიონშიც ყოველივე ეს მოხდა.

გვიამბობენ აგრეთვე კალიფორნიიდან და სამხრეთი შტატებიდან ჩამოსულ ამერიკელებზე, რომლებიც მონრეალში ქურქებითა და თხილამურებით ჩამოდიან. 35 გრადუს სიცხეში რომ მოსვდებიან, უხვირო მოთხილამურეები გაოცებით კითხულობენ: „თოვლი სადღაა?“ მათი ცოდნა უახლოეს მეზობელზეც კი „ოდნავ“ განსხვავდება სინამდვილისაგან.

ამ თვეში ცოტა ამბავი რული მოხდა ექსპოზე. ერთა მოედანზე, ოდესღაც ელენეს კუნძულზე მდებარეობს, გაიმართა გამოფენის მონაწილე ქვეყნების ეროვნული დღეებისადმი მიძღვნილი ცერემონიები და წარმოდგენები. ამას სხვადასხვა მოულოდნელობა ახლდა. რაც ცერემონიას პრეზიდენტი ჯონსონი ვერ აუქცევ. ივნისში ჩამოვიდა ქოლიეუდელ ორივე სქესის კინოვარსკვლავთა მთელი ბრიგადა. ახლა გამოფენაზე გამოდის მორის შევალიე, მის ჩამოსვლამდე კი იყო მარლენ დიტრიხი. ამ ცოტა ხნის წინათ გამოფენა ინახულა რობერტ კენედიმ თავისი ცოლითა და შვიდი შვილით.

გამოფენაზე სხვადასხვა ამბავი მოხდა. მთლიანად დაიწვა ექსპოზიცია ჩანკაბისტური ჩინეთის პავილონში. ახალი გააკეთეს, და პავილიონი ხელახლა გაიღეს. ახლო აღმოსავლეთის კრიზისში კანადის პოზიციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მთლად დაიბურა კუვეიტის პავილიონი.

ხომ არა გსურთ იყიდოთ ქალა, რომელიც ექსპოს ჰაერია?

გადაიხადეთ ნახევარი დოლარი და ინებეთ საუკეთესოდ გაფორმებული. ერთი მარჯვე მონრეალელი, რომელსაც ყოველნაირ სუვენირებზე მოთხოვნილება გამოუვლენია, ასეთი საქონლითაც კი ვაჭრობს.

მონრეალში რეკორტ ჰყვავის. ადარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მონრეალში ყველაფრის ფასები უზომოდ გადიდებულია. ბრესი ახლა მას მსოფლიოში ყველაზე ძვირ ქალაქს უწოდებს. ექსპოს შესასვლელთან დოყლაპიებს დოლარნახევრად შეაჩეჩებენ ხოლმე გამოყენებულ ერთდღიან ბილეთებს. ზოგიერთი ტაქსის შოფერი არწმუნებს მგზავრებს, რომლებიც აეროპორტიდან ან ვაგზლიდან მიჰყავს, რომ სახლები, სადაც მათ ექსპოს ადმინისტრაციის მეშვეობით ბინები წინასწარ შეუკვეთიათ, „საშინელ რაიონებშია“, და სთავაზობს „უკეთეს ადგილას“ წაიყვანოს. ხელშეწყობისათვის ტაქსისტები დოლარებს იღებენ კლიენტებისგანაც და სახლების მფლობელებისგანაც, რომლებთანაც მობინადრეები მიჰყავთ.

ასეთივე წესით იტყუებს თავისთან ხალხს ზოგიერთი რესტორანი და ავტომობილების მომსახურების სადგური. ისინი. გზატკეცილზე გზავნიან თავიანთ აგენტებს, რათა გზიდანვე მიიტყუონ ექსპოზე მიმავალნი. ზოგი აგენტი თავს სასაღებს გამოფენის წარმომადგენლად და საკომისიოსაც კი ანდევნებს თავიანთ მსხვერპლთ.

ექსპოს სტუმრების უდიდესი უმრავლესობა ავტომობილებითა და სპეციალური ავტობუსებით ჩამოდის. მაგრამ არის საკმაოდ დიდი კატეგორია ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც ხელს არ აძლევს მოგზაურობის ესოდენ ნაკლებრივი წესები. 37 წლის ინვალიდმა როლანდ ბოლიუმმა სცადა ტორონტოდან ექსპომდე მიეღწია თავისი სავარძლით, რომლის თვლებსაც თავისი ხელით ატრიალებდა. ხელისგულებზე კოერების და ზურგის ტკივილის გამო იძულებული გახდა მგზავრობა შეეწყვიტა, 540 კილომეტრი გზის დაახლოებით ნახევარი რომ გაიარა. მაგრამ ყოფილმა სპორტსმენმა, ტელევიზორგაზომილმა მოკავჭრემ ბილ ემერტონმა ეს გზა სირბილით გაიარა. თავის ზურმართალურ გადარბენას ამ 7 დღე მოანდომა.

21 წლის მზარეულმა ბრიტანეთის კოლუმბიიდან ექსპომდე 5.980 კილომეტრი გზა 12 კვირაში გაიარა ბორგოლაჭიანი ციგურებით. იქიდანვე 7 ივლისს მონრეალში დოლარებს იღებენ კლიენტებისგან, ჩამოგზაურობის ეს ფორმა ბევრ ადამიანს ეზარებოდა. ეს ადამიანები ბინებს ქირაობენ ექსპოს ტერიტორიის ახლოს. ეს ბინები ბევრ ადგილზეა. ბინა ერთ ოთახიანი ბინა ექვსი ადამიანისთვის ორ ოთახიანი ბინა ოცი ადამიანისთვის. ბინა ოცი ადამიანისთვის ... ეს ბინა ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ... ეს ...

ჩხერიმელას ხეობაში

□ ასე მკურნალობენ ტყეს ორჯონიკიძელები

□ 2.200 ჰექტარი ხელოვნური ტყე

□ ეროზია უკან იხევს

□ აი რა ეამაყება ტყისმცველ ნიკალა გოგნაძეს

ჩხერიმელას ზღაპრული ხეობა. მოლითის სადგურიდან გასული მატარებელი ციცაბო კლდეებსა და გორაკების ფერდობებზე მიიკლაკნება. ირგვლივ კი მთები, ტყიანი მთები დაყუდებულან. ელმავლის კვიცილის ექო შორს, შორს იკარგება.

მატარებელი ვიდრე წიფის გვირაბში შეაფარებდეს თავს, მანამდე მგზავრს გული როგორ გაუძლებს, რომ არ წამოდგეს და ფანჯრიდან ახმაურებულ ჩხერიმელას ხეობას, აქოჩრილტყიან მთებს არ გახედოს და ბუნების ამ მშვენებით არ დატკბეს.

... მაგრამ ჩხერიმელას მარცხენა ნაპირას მთის ფრიალო ფერდობზე, ფოთლოვანი ტყის შუაგულში ფიჭვის კორომები როდის გაჩნდა, ან ჩაის პლანტაციებივით სწორხაზოვნად ვინ ჩაამწკრივა?

ამ კითხვებზე პასუხი რომ მიიღო, საჭიროა ფეხით შემოიარო ჩხერიმელას ხეობა, და ნახო როგორ იბადება მდინარე.

მივდივართ. გორაკების ძირას და ღარტაფებში მთის ანკარა წყაროები აქეთ-იქიდან მორაკრაკებენ, მერე ღელეებში იყრიან თავს და თავქვე ხმაურით დაუყვებიან. ასობით, ასობით პატარა ნაკადული ერთდება და ასე წარმოიშობა მთის მჩქეფარე მდინარე ჩხერიმელა.

— მდინარე ჩხერიმელა, მისი შენაკადები ჩვენი მეტყევეების ბარომეტრიც არის, — ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის კულტურებისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების სამმართველოს უფროსი ინჟინერი ტ. ჩერქეზიშვილი, — როგორც კი მთის ფერდობი მოშიშვლდება, ნაკადულებიც იშრიტება და მდინარე ჩხერიმელას წყალი აკლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სადღაც ტყე გამეჩხერდა, ან გაიჩეხა და სასწრაფო ღონისძიებებია მისაღები.

— მართალია, — ადასტურებს ნათქვამს სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე ბ. ხაჩიძე, — სადაც ტყე არ არის, იქ არც წყალია. უტყეო ფერდობებს კი წვიმა იოლად ჩამორეცხავს და ეროზიის საშიშროება იქმნება. ნაკადული რომ დაშრება, იქ მთის ფერდობებს შველა უნდა.

ასე იყო აქაც. ჩხერიმელას პატარა შენაკადი დაშრა. საყორნიის მთის ფერდობზე, 26 ჰექტარზე ნებოძირის კოლმეურნეობის საყანე ფართობები დროთა განმავლობაში გამოიფიტა და ეროზია დაიწყო, აღარც სიმინდისა და ლობიოს მოსავალი მოდიოდა. ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობამ ზემდგომი ორგანოების ჩარევის შედეგად ეს ფართობი ჩაიბარა და შვიდი წლის წინათ ჩვეულებრივი ფიჭვისა და შავი ფიჭვის ნერგები დაირგო.

სათქმელად იოლია დაირგოო. მაგრამ ვინც ამ ფრიალო ფერდობს ნახავს, გაოცდება — რა კაცმა აიტანა იქ ნერგები, ტერასები გათხარა და დარგო. მერე და მარტო დარგვით ხომ არ მთავრდება საქმე! ნერგებს მოვლა-პატრონობა უნდა, რომ გაიხაროს. აქ ამბობენ ხოლმე: მიწა რომ დაამუშაო, ხეზე თოკით უნდა გამოება, რათა კლდეში არ გადაიჩეხოო.

რამდენი ენერგია, შრომა და მკლავის ძალა უნდა შეალიოს კაცმა, რომ ამ ციცაბო ფერდობზე ტყე გააშენოს!

მარტო ენერგია?! მინდობილი საქმის სიყვარულით თუ დაძლევს კაცი ამ სიძნელეებს, თუ არა სხვა მხრივ გაუჭირდება.

დიახ, სიყვარული. ტყის მცენარეთა სიყვარულმა, მშობლიური არემარის სიყვარულმა დააძლევინა სიძნელეები ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობის მუშაკებს.

მატარებლის ფანჯრიდან საყორნიის აგარაკზე ფიჭვნარი რომ მოჩანს, იგი ძირითადად ტყის მცველ ნიკალა გოგნაძის ნახელავია. ნიკალას ტყუილად კი არ ეძახიან ზვარეში მინდიას. მან ტყისა და ბუნების სიყვარულით მოიხვეჭა ეს სახელი. უყვარს თავისი საქმე, სულითა და გულით უყვარს ბუნება, ხე, ყოველგვარი მცენარე, უყვარს ტყით შემოსილი ეს მთები და მოჩხრიალე ნაკადულები, მჩქეფარე ჩხერიმელა! ამიტომ იყო, რომ ციცაბო ფერდობზე მართლაც ხეზე თოკგამობმულმა სხვებთან ერთად დაამუშავა საყორნიის აგარაკზე, თითქმის სამოცდაათი გრადუსით დაქანებულ ფერდობებზე მიწა, გააშენა ფიჭვნარი და ახლა ეს კორომი მართლაც საამო სანახავია.

პირველ წელს გაზაფხულის ხანგრძლივობა წვიმებმა ნარგავები დააზიანა. ნიკალა ტალახსა და წვიმაში მიიკვლევდა გზას ნახევარი კილომეტრის სიმაღლის ფერდობზე. წაქცეული და მოთხრილი ნერგები რომ ნახა, გული შეეკუმშა, ბავშვივით მოეფერა და წამოაყენა. მიწა შემოუყარა, შე მადლიანო, რა დაგმართნია, ნუ გეშინია, ავდარს არ დავანებებ შენს თავსაო, ჩურჩულებდა ტყის მცველი და ხან ერთ ნერგს მიუტრიალდებოდა, ხან მეორეს. ფეხზე დააყენა, მოასულიერა და მერე გაჭირვებით ჩამობობღდა ჩხერიმელას ნაპირზე.

ახლა კი ნიკალა საყორნიისაკენ ისე არ გაივლის, რომ ფიჭვნარს არ მოესიყვარულოს, სიამაყის გრძნობით არ აღივსოს. ეს ამაგდარი კაცი ხარობს თავისი შრომით. ამაგდარია იმიტომ, რომ, სამამულო ომიდან წითელი ვარსკვლავისა და დიდების ორდენით მკერდდამშვენებული რომ დაბრუნდა, მას შემდეგ ბარე ოცი წელიწადია ამ ტყეებს იცავს, უვლის, ავ თვალს არ აკარებს.

— ეს ტყეები, ეს მთები და მდინარეები ასე მგონია სულ ჩემია, სულ მე მეკუთვნის. სხვანაირად კი არ გამიგოთ, მართლაც შვილივით მიყვარს ეს არე-მარე, ყოველი ხე და ბუჩქი, — თავმომწონედ ამბობს ნიკალა, და არ შეიძლება არ დაუჯერო.

ასევე უყვარს თავისი საქმე წიფის ტყისმცველს დიმიტრი ღამბაშიძეს, რომელიც გვირაბთან შეგვხვდა მხარზე სანადირო თოფგადაკიდებული და ხალისით გვიყვებოდა ტყისმცველის ძნელ მაგრამ საშვილიშვილო საქმიანობაზე.

სწორედ ამიტომ არის, რომ ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობას უკანასკნელ წლებში წარმატებები აქვს მოპოვებული. აქ 47.000 ჰექტარ ბუნებრივ ტყეს პატრონობენ. აქედან 2.200 ჰექტარი ხელოვნურად არის გაშენებული, რომლიდანაც ტყის ფონდში ჩარიცხულია 1.500 ჰექტარი. დანარჩენი 700 ჰექტარი ჯერ ახლად გაშენებული ტყეებია.

ზვარე-ნუნისის ხეობაში ზრდაში ბუნებრივ ტყეებს გაუსწრო 100 ჰექტარ ფართობზე სხვადასხვა ადგილას გაშენებულმა ფიჭვის ხელოვნურმა ტყეებმა.

— თხუთმეტ წელიწადზე მეტია ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობაში ვმუშაობ, — ამბობს ამ მეურნეობის დირექტორი. ს. ტაბეშაძე, — და ტყეების გაშენების ისეთი ტემპი, როგორიც ამ უკანასკნელ 10-12 წელიწადშია, არ მახსოვს. ყოველი სავარგული, ციცაბო ფერდობზე იქნება თუ ვაკეზე, ტყის ზოლებით იფარება. ეს კი, გარდა იმისა, რომ ნიადაგს ეროზიისაგან იცავს, ამასთან ბუნებასაც უფრო ალამაზებს, წყაროებიც აღარ შრება.

უკანასკნელ წლებში ხუთი ათას ჰექტარზე მოეწყო ტყის ბუნებრივი განახლების ღონისძიებები. ამ სამუშაოებში შედის ნიადაგის აჩეჩვა ოესვისათვის, ნარგავების შეღობვა, ნერგების გამორგვა და სხვ. ამასთან მეურნეობას ყოველ წელიწადს 1,5-2 მილიონი სხვადასხვა ჯიშის ნერგი გამოჰყავს. ფიჭვი, თეთრი აკაცია, წაბლი, იფანი, პანტა, მაჟალო — რა კულტურები არ გამოჰყავთ!

ორჯონიკიძის რაიონში სარაიონო გზებსა და რკინიგზის გასწვრივ დაქანებულ ფერდობებზე ჯერ კიდევ არის ისეთი მიწები, სადაც ეროზიის საშიშროება არის და კარგა ხანია მიწები აღარ მუშავდება. ასეთი მიწების ფართობები აქ ათას ჰექტარამდეა. აქედან ნახევარი მაინც რომ გადაეცეს სატყეო მეურნეობას ტყის გასაშენებლად, სასარგებლო იქნება ბუნების დასაცავადაც და სახალხო მეურნეობისთვისაც.

ორჯონიკიძისა და ხაშურის სატყეო მეურნეობებს სურამის ქედი ჰყოფს. სურამის ქედის აღმოსავლეთით ხაშურელი მეტყევეები საიუბილეო წლის ღირსეულად შეხვედრისათვის იბრძვიან. ორჯონიკიძელი და ხაშურელი მეტყევეები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ამჯერადაც ორჯონიკიძელებს ხაშურის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე პ. მაღრაძე ესტუმრათ. ბევრი ისაუბრეს მეზობლებმა ტყის მოვლა-დაცვაზე, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებაზე, ჩვენი რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის დაცვაზე.

ტყის მცველებს, მეტყევეებს ქუდზე ოქროსფერი მუხის ფოთოლი უკეთიათ. ეს ემბლემა ბევრს ავალებს მათ — ჩვენი ტყეების დარაჯებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტყეებს ერთგულად, სიყვარულით მოვუაროთ, გავაშენოთ ახალი ტყეები და უფრო დავაშშვენოთ ბუნება.

ვ. გოზალიშვილი.

ორჯონიკიძის რაიონი.

სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — საყორნიის მთის ციცაბო ფერდობზე ფიჭვის ხელოვნურ ტყეს ათვალიერებენ გ. ხაჩიძე, პ. მაღრაძე, ს. ტაბეშაძე და ტ. ჩერქეზიშვილი; ქვემოთ — მდინარე ჩხერიმელას ხეობა.

ფოტო ავტორისა.

გუშინდელი ფოსტიდან

⊙ **ზუგდიდი.** სოფელ განმუხურში საზოგადოებრივი კვების ჩასელს კიდევ ერთი ობიექტი შეემატა — გაიხსნა ახალი სასადილო-პავილიონი. გარდა ამისა სოფელში ენერგია ლონე.

ბ. ალიბასია.

⊙ **ვაიაკოვსკი.** კავშირგაბმულობის შენობაში დამონტაჟდა ახალი, მძლავრი რადიოსატრანსლაციო კვანძი. იგი ერთდროულად 15 ათას რადიოაბონენტს მოემსახურება.

აქვე საიუბილეო წელს დამთავრდება ახალი 1000-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურის დამონტაჟება.

გ. ფუტკანაძე.

⊙ **რუსთავი.** მედიცინის მუშაკებს დიდხანს ემახსოვრებათ ექსკურსია, რომელიც ამას წინათ ვარძიაში მოაწყეს. გარდა ვარძიისა, მათ დათვალიერეს ბორჯომი, ახალციხე, იყენენ მემახტეთა დასახლება ვალში, აბასთუმნის ობსერვატორიაში.

ა. ფუტიდოგაძე.

⊙ **თელავი.** 3.560-ზე მეტ კოლმეურნეს დაენიშნა პენსია. მაოტო საიუბილეო წელს პენსიები დაიმახსოვრა 350-ზე მეტმა მხვნელ-მთესველმა. რვა თვეში გაცემულმა თანხამ 452 ათას მანეთს მიაღწია.

ო. ცაგეტაშვილი.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

„განა ეს „ნერილმანებია?“

სავანერო ქსელში ჩაიდნები არ ეშოვებიო, აღნიშნული იყო წერილში, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა. წერილის გამო რედაქციამ მიიღო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ვ. ჯინჯიხაძის პასუხი:

მიმდინარე წელს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ზომინანაკრებული ჭურჭლის ფონდი რაოდენობრივად (ტონაჟით) აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაგრამ ასორტიმენტის მხრივ მწარმოებელი-მომწოდებელი მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ ჩვენს განაცხადს. მაგალითად, ჩაიდნებზე ჩვენი დაკვეთა შეადგენდა გაცილებით მეტს, ვიდრე საწარმოო გეგმებით არის გათვალისწინებული. აღნიშნული რაოდენობა საშალაოდ შეადგენს მთელი გამოსაშვები პროდუქციის 5,5 პროცენტს.

ზემდგომი ორგანოების წინაშე დასმულია საკითხი გაზრდილ იქნას მომინანაკრებული ჩაიდნების ხვედრითი წილი.

„სოფელი უპარიკმახეროდ“

ასეთი სათაური ჰქონდა შენიშვნას, რომელიც ეხებოდა სოფელ მისაქციელში საპარიკმახეროს უქონლობას. შენიშვნის გამო მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლაშხი რედაქციას სწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული წერილის „სოფელი უპარიკმახეროდ“ გამო გაცნობებთ: ამ სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა საპარიკმახერო უკვე გახსნა.

ჰპარტიული ქრონიკა

მთაში — ცოცხალი სიტყვა

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ენერგიულად ეზიარებიან და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობს 300-ზე მეტი პოლიტინფორმატორი და ლექტორ-მომხსენებელი.

პარტიის ახალციხის რაიკომმა მოაწყო პოლიტინფორმატორებისა და ლექტორ-მომხსენებლების ერთდროული გასვლა რაიონის მაღალმთიანი ზონის სოფლებში.

პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაციის ლექტორ – მომხსენებლები ყ. ბერძენიძე, ს. ხოსიტაშვილი, გ. გეორგიანი, ა. გელაშვილი, შ. წიქვაძე, ი. კურტანიძე, ა. კუპრაძე, ვ. ტაბატაძე, ს. მაღრაძე, მ. მელიქიძე, ვ. გაჩეჩილაძე და სხვები ეწევიენენ მიქელწმინდის, წორის, ანდის, ურავლის, ხეთის, შურდოს, ფერსის, მუჯარეთის, ზიკილიას, ყუალალისის, ორალის, ხაკისა და სხვა სოფლების მშრომელს, რომლებთანაც ლექციათ-საუბრები გაამართეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების გარშემო.

ქუთაისი. (საკ. კორ.). მახსობრივ - პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, პოლიტინფორმატორების შერჩევის, სწავლებისა და მათდამი დახმარების საკითხებს მიეძღვნა საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები, რომლებიც საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა საავტომობილო და ელექტრომექანიკურ ქარხნებში მოაწყო.

საინსტრუქტაჟო მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ლ. ფანჩულიძე და პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ბ. ფრუიძე.

ასეთივე თათბირ-სემინარები მოეწყობა ქალაქის მსხვილ საწარმოებში და ახალშენებლობებზე.

ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

ესენდა. (საკ. კორ.). სარაიონო კულტურის სახლში მოეწყო სკკპ წევრობის კანდიდატთა და ახალგაზრდა კომუნისტთა რაიონული შეკრება.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის ასპინძის რაიკომის მეორე მდივნის გ. აღდგომელაძის მოხსენება — „პარტიის წევრობის ლენინური პრინციპები“ და პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის გ. გიორგაძის მოხსენება. კომუნისტის უფლება-მოვალეობის შესახებ.

ახალგაზრდა კომუნისტებს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ესაუბრნენ ხიზაბავრის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ი. მურადამვილი, ასპინძის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ა. ფოცხვერაშვილი და ნაქალაქევის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ახალგაზრდა კომუნისტი ე. ზიმნაძე.

შეკრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა საკითხი „სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპისა და სიღნაღის რაიონებში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. დანელიამ. მან აღნიშნა, რომ ამ რაიონებში საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა ქსელი ერთნახევარჯერ გადიდდა. საექსპლოატაციოდ გადაეცემულია კვებისა და ვაჭრობის ახალი ობიექტები. მაგალითად, 1966-1967 წლებში გეგეჭკორის რაიონში მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივი კვების რვა ახალმა საწარმომ, კასპის რაიონში — სამმა, სიღნაღის რაიონში — ორმა და ასე შემდეგ.

და მაინც საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის დარგში მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. მთელი რიგი რაიონების მცხოვრებლებს აკლიათ სასადილოები, განსაკუთრებით დიეტური სასადილოები. ბევრი სასადილო და სასაუზმე მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში.

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ საწარმოში ხშირად უხეშად იროვეცეა საბჭოთა ვაჭრობის წესები.

ნაკლოვანებანია სავაჭრო რეკლამაში, ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობის დადგმაში და სხვა.

ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების კულტურა სკოლის ეუფეტებში. სამტრედიის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, კასპის, სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები ჯეროვნად არ მონაწილეობენ საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის გაუმჯობესების საქმეში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიისა და ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი. ა. მანჯგალაძე და გ. მამალაძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი ი. წინამძღვრიშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. უურაშვილი, რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი, კომისიის წევრი ა. შადური და სხვები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

(საქდესი).

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 1967 წ.

სტუმრად საქართველოში

„კომუნისტის“ ძველი ფურცლებიდან

ი. ე. რუძუტაკის დაბადების 80 წლისთავი

შესრულდა 80 წელი იან ერნესტის-ძე რუძუტაკის დაბადებიდან. ი. ე. რუძუტაკი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. ლენინური გვარდიის ჯარისკაცმა სახელოვნად განვლო ბრძოლისა და გამარჯვების დიდი გზა.

რევოლუციის შთაგონებით ი. რუძუტაკი, ეს ყოფილი მოჯამაგირე, გახდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე.

მას ეკავა მაღალი პოსტები: წლების მანძილზე მუშაობდა საკავშირო პროფსაბჭოს გენერალურ მდივნად, რკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს თავმჯდომარედ, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ... ყველგან, სადაც უხდებოდა მუშაობა, იგი მთელ თავის მჩქეფარე ენერგიას ახმარდა ლენინური იდეების განხორციელებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლას.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ი. რუძუტაკი მტკიცედ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. 1929 წლის შემოდგომაზე მან იმოგზაურა საქართველოში, გაეცნო ახალი ცხოვრების მშენებლობას, მის პერსპექტივებს.

ამასთან დაკავშირებით მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ მასალებს „კომუნისტის“ ძველი ფურცლებიდან საქართველოში ი. რუძუტაკის ყოფნის შესახებ.

ამხ. რუძუტაკი სვანეთში

ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთში ფეხით ჩამოვიდა ამხ. რუძუტაკი. ერთი ღამე მან დაკყო სოფელ უშხვანარში (ბეჩოს თემი). აქედან მეორე დღისვე ამხ. რუძუტაკი გაემგზავრა მესტიისაკენ. გზაზე მას შეხვდნენ: სვანეთის ორგანიზაციის მდივანი ამხ. დოლიძე და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მესტიაში მისვლისას აღმასკომის შენობის გვერდით, მინდორში ამხ. რუძუტაკს დასვდა უამრავი ხალხი. გაიმართა დიდი მიტინგი. გლეხობა გამოდიოდა და მისალმების შემდეგ აღნიშნავდა უმთავრესად სვანეთის გზის გაკეთების საჭიროებას. ამხ. რუძუტაკი მსურვალე გრძნობით შეხვდა გლეხობის ასეთ ერთსულოვან გამოსვლას, მადლობა გადაუხადა მათ და აღუთქვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა. ამის შემდეგ გაიმართა სვანური ცეკვა-თამაში და ფერხული, სიმღერები.

მეორე დღეს ამხ. რუძუტაკი ინახულეს სვანეთის გზის სამშენებლო კომიტეტის რწმუნებულებმა. მათ გაუკეთეს მოხსენება სვანეთის გზის მუშაობის მსვლელობაზე. კომიტეტის რწმუნებულებმა სთხოვეს ამხ. რუძუტაკს, რათა... ბიუჯეტის განხილვის დროს სვანეთს გზის გასაკეთებლად გათვალისწინებულ იქნას საჭირო თანხა. ამხ. რუძუტაკმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა სვანეთის გლეხებს გზის გაყვანის დასრულებაში.

მესტიიდან ამხ. რუძუტაკი გაემგზავრა უშგულში. გზადაგზა თვითონ იღებდა კინო-აპარატით სურათებს.

უშგულიდან ამხ. რუძუტაკი დაბრუნდა სოფ. ჭალაში და იქიდან ლატფარის უღელტეხილით გაემგზავრა ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში.

„კომუნისტი“ 1929 წ. 26 სექტემბერი.

* * *

ქუთაისი. 1 ოქტომბერი. ამხ. რუძუტაკთან, რომელიც წყალტუბოში ისვენებს, გამოცხადდა ბაღდადის რაიონის გლეხთა დელეგაციის 17 ღარიბი და საშუალო გლეხის, ბაღდათის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მანარდაშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გლეხი ქალებიც.

ამხ. რუძუტაკმა დელეგაცია გულთბილად მიიღო და მოისმინა გლეხების შეადგენლობა მდინარე ყვირილაზე რკინიბეტონის დიდი ხიდის აგების შესახებ. რაც გლეხობის მრავალი წლის მოსწრაფებას და აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს.

ამხ. რუძუტაკი დელეგაციას შეპპირდა, რომ მოსკოვში დაბრუნებისთანავე ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ხიდის აგებას. უზრუნველყოფს მას ტექნიკური პერსონალით და დაეხმარება ფულით 500-600 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს ხიდის ღირებულების 70 პროცენტს...

დასასრულ, გლეხთა მხურვალე მადლობის სანაცვლოდ ამხ. რუძუტაკმა გამოთქვა სურვილი ახლო დღეებში ეწვიოს ბაღდათის რაიონს.

„კომუნისტი“ 1929 წ. 2 ოქტომბერი.

საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და გზათა კომისარმა ამხ. რუძუტაკმა ერთი კვირა დაკყო წყალტუბოში, ამ ხნის განმავლობაში მან ინახულა ხონისა და ბაღდათის რაიონები. აქ ორი ვანობოდა მცხოვრებთა მდგომარეობას, აღმშენებლობას და ვანსაკუთრებით გზისა და ტრანსპორტის საქმეს.

8 ოქტომბერს ამხ. რუძუტაკი გაემგზავრა ჭიაურში. მასთან ერთად გაემგზავრნენ ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ე. ღვამიჩავა, შ. ლეკვა, პ. წულუკიძე და სხვ.

ამხ. რუძუტაკმა ერთი დღე დაკყო ამბროლაურის რაიონში. აქ მან დაათვალიერა გზები, სოფლები, გაეცნო გლეხთა მდგომარეობას, საგზაო მშენებლობას და სოფელ წკადილში მასთან მასულ გლეხთა დელეგაციას ალუთქვა, რომ მოსკოვში დაბრუნებისთანავე გადახიდავს ბიუჯეტს და მიიღებს ზომებს, რათა 300 ათასი მანეთი გადადონ ნაქერალაა გზის დასამთავრებლად. ამ გზის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მთელი ქვემო რაჭისათვის; ამ უკანასკნელს ხსენებული გზა ნაქერალას უღელტეხილით აერთებს ტყიბულის რკინიგზის შტოსთან... სამასი ათასი მანეთი სავსებით საკმარისია ზემოხსენებული გზის დასამთავრებლად.

სოფლებთან ერთად ამბროლაურის რაიონში ამხ. რუძუტაკმა ინახულა საწალიკის მიდამოები, რომელიც რეჭიკის წლებში საუკეთესო თავშესაფარი იყო რევოლუციონერებისათვის.

9 ოქტომბერს ამხ. რუძუტაკი გაემგზავრა შოშში. გზადაგზა იგი ეკონომოდა სოფლებს, მოსახლეობის მდგომარეობას და განსაკუთრებით მის ყურადღებას იქცევდა გზები.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილის შესახებ რომელიც... კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, ამხ. რუძუტაკმა ამბროლაურის, წკადილის და ალოლის გლეხობას განუცხადა:

„ცხადია, უკმაყოფილებ ზედმეტ გზაჭირვებაში ავდგებს მოსახლეობას. თქვენი ეკონომიური გაფაროვერების მთავარი წყარო უნდა იქნეს გზა და ტრანსპორტი. შემიძლია დარწმუნებით გითხრათ და დაგპირდეთ, რომ სულ ახლო ხანში ოსეთის მთავარი გზატკეცილის და ტრანსპორტის საქმეს აქ, თქვენს რაიონებში მოვაწყობთ ისე, რომ ყველასათვის იაფი, ადვილი და ხელმისაწვდომი გახდეს არა მარტო მიმოსვლა, არამედ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გადაზიდვა და ცენტრთან ეკონომიური დაკავშირება“.

შოფის მდებარეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. რუძუტაკზე. მან აღნიშნა... ამ ისეთი აკარაკის შემდეგომი ზრდა-განვითარების პერსპექტივა, რაც დაუკავშირა მთავარი გზატკეცილის კაპიტალურ შეკეთებას.

შოფში ამხ. რუძუტაკმა დაკყო ერთი დღე და ამდე. აქ მას შეხვდა კინოფოტოგრაფია რეჟისორი ქალის ამხ. ნ. ოფოფორეროვის ხელმძღვანელობით; ეტაპეზიციამ ადგილზე მოიწერეს ამხ. რუძუტაკის მოგზაურობიდან. მასთან მისული ბოლოს ბოლოს ბოლოდ... ... ...

ჩვენს კრებულებში

გვაცნობებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

აკურა სახელს იცვლის

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ აკურაში მწყობრში ჩადგა მამაკაცთა სალონი, ახალი ბიბლიოთეკა, სამკერვალო სამკერო. ორ კილომეტრზე მოასფალტდა სოფლის შიდა გზები. დამთავრდა აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონის მშენებლობა, სადაც ერთდროულად იმუშავებენ სხვადასხვა დანიშნულების განყოფილებები.

ნაირ-ნაირი

მრავლდება სართულები

ქუთაისი. (საკ. კორ.). არასოდეს არ უნახავს ქუთაისს საბინაო მშენებლობის ასე ფართო მასშტაბი და გაქანება. მარტო № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში საექსპლოატაციოდ გადასცეს 10 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

ავტოქარხნის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 2.225 კვადრატული მეტრი ფართობის 5-სართულიანი სახლი.

მაღაროელები — კურორტებზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). თავდადებული შრომის შემდეგ აქაური მაღაროელები და მშენებლები შვებულებებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე ატარებენ. წელს მათ უკვე მიიღეს სანატორიუმის 300-ზე მეტი და დასასვენებელი სახლის 700-მდე საგზური.

ამასთან მაღაროთა კოლექტივებმა და გვირაბმშენის სამმართველომ მუშა-მოსამსახურეებისათვის შეიძინეს მენჯისა და ზღვისპირა კურორტების 250-მდე საგზური.

პრაქტიკაზე — ქარხანაში

ბათუმი. (საკ. კორ.). თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში. სტუდენტები უშუალოდ დაზგებთან პრაქტიკული საქმიანობით იღრმავებენ თეორიულ ცოდნას, ეცნობიან და ეჩვევიან წარმოებას.

სამგრეჯიო წინათ და ახლა

სამგრეჯიო. (საკ. კორ.). ამას წინათ სარაიონო კულტურის სახლმა, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკებმა მოაწყეს თემატური საღამო „სამგრეჯიო წინათ და ახლა“.

მოხსენებებით გამოვიდნენ ვ. ნიკოლეშვილი (რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი), ჯ. ბოხუა (პარტიის სამტრედიის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე), ა. ჯღარკავა (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე).

სიტყვებით გამოსულებმა ილაპარაკეს იმ გზის შესახებ, რაც რაიონის მშრომელებმა განვლეს.

უნივერსალური მაღაზია

კასპი. (საკ. კორ.). სოფელ ახალქალაქში გაიხსნა ახალი უნივერსალური მაღაზიის ორსართულიანი შენობა.

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ცოდნის ტაძარში

ამ ქართული უმაღლესი სასწავლებლების დედა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მომავალ წელს 50 წლის იუბილეს გადაიხდის.

ახლა აქ, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში, მიმდინარეობს მისაღები გამოცდები, რომლებმაც ბევრ ახალგაზრდას მოუტანა სიხარული.

— როგორ მიმდინარეობს გამოცდები თქვენთან? — ამ კითხვით მიმართა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ე. მამალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორს სასწავლო მუშაობის დარგში პროფესორ ს. ჯორბენაძეს.

— ჩვენთან წელს გამოცდებზე ცხრა ათასი ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა, მათ შორის 400-მდე მედალისანი და ბევრი წარჩინებული დიპლომით მოვიდა, რათა ეცადათ თავიანთი ძალები.— გვეუბნება პროფესორი ს. ჯორბენაძე.—ჩვენც ვემზადებოდით მათ დასახვედრად. ძალიან ბევრი ახალგაზრდა კარგად არის მომზადებული. მკვეთრად არის ამაღლებული ახალგაზრდობის მომზადების საერთო დონე. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენთან ბევრ ფაკულტეტზე — უმეტესად ჰუმანიტარულ დარგებზე — ფრიად მწვავე კონკურსია, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი განაწყენებული დარჩება.

მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სამართლისმცოდნეობის სპეციალობაზე, სადაც პროფილით მომუშავე ბევრია მოსული, საღამოს დასწრებული განყოფილების 25 ადგილზე 310 იბრძოდა. ისტორიული ფაკულტეტის სწავლების ყველა ფორმაზე განცხადება შემოტანა 1600 კაცმა, აქედან დღის დასწრებულზე 25 ადგილზე 729 აბარებს გამოცდებს.

ქართულ ენასა ოა ლიტერატურაში გამომცდელებად მოწვეული იყვნენ გამოჩენილი სპეციალისტები პროფესორები შ. რადიანი, დ. გამეზარდაშვილი, ი. ცერცვაძე, ე. ჯეირანაშვილი, ი. ბოცვაძე, ტ. კვანტელიაშვილი, ა. ცანავა და სხვები. მეტად საინტერესოდ ჩაიარა გამოცდამ ქართულ ენაში (ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფ. შ. ძიძიგური). აქ ერთ დღეს — 8 აგვისტოს ქართულ ენაში წერითი საშუალო შეასრულა ორი ათასმა აბითურიენტმა. თემები ისე იყო შერჩეული, რომ გამოირიცხა ეგრეთწოდებული „შპარგალკების“ გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა. ახალგაზრდებს მეტწილად მიეცათ ორიგინალური თავისუფალი თემები (რა თქმა უნდა, საშუალო სკოლების სწავლების ფარგლებიდან), რაც საშუალებას იძლეოდა, ახალგაზრდას გამოემჟღავნებინა ცოდნა, საერთო განათლება, წიგნიერება. ეს თემები — „ადამიანი და ბუნება“, „ადამიანის მოვალეობა კომუნისტურ საზოგადოებაში“, „როგორ მესახება ჩემი მომავალი“, „რუსთაველის პრემიის ლაურეატები“, „საბჭოთა საქართველოს გამოჩენილი ადამიანები“... არც ერთი შაბლონური თემა. ბევრმა ახალგაზრდამ გაახარა გამომცდელები, მაღალი ნიშანი დაიმსახურა. ნაწერის გასწორებაც დიდი გულისყურით, სიფრთხილით მოხდა.

მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკის, ფიზიკის ფაკულტეტებზე, ერთი სიტყვით, ზუსტი მეცნიერების დარგებზე გამოცდა მათემატიკაში მოეწყო მანქანური წესით, რაც ჩვენთან წელს მეორედ იქნა გამოყენებული, უნდა ითქვას, რომ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

საგამოცდო კომისია (თავმჯდომარე პროფესორი ლ. მაღნარაძე) აბითურიენტების ყოველ პრეტენზიას მანქანური შეფასების თაობაზე გადასცემდა სპეციალურ კომისიას. თუმცა უნდა ითქვას, რომ აბითურიენტს ნამუშევარს მანქანით შეფასებამდე ისედაც ამოწმებდნენ გამომცდელი სპეციალისტები. ამ ვითარებაში მანქანის შეცდომაც გამორიცხული იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანქანების შეფასება ძირითადად ეფარდება აბითურიენტის მომზადებას ზეპირ გამოცდებში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მანქანურმა გამოცდამ აამაღლა აბითურიენტის მომზადება მათემატიკაში. ამიტომ მომავალშიც მივმართავთ მანქანებით გამოცდას.

საგამოცდო კომისიებმა მეტად დიდი მუშაობა გასწიეს შემოსული პრეტენზიების განსახილველად, როგორც წესი, ამ განხილვას მშობლებიც ესწრებიან.

შესანიშნავი შომზადება გამომჟღავნეს აბითურიენტებმა უცხო ენებში, ჩანს თბილისის მთელ რიგ და ზოგიერთ რაიონულ სკოლებში უცხო ენების სწავლება მოწოდების სიმაღლეზეა.

უეჭველად დადებითი შედეგები მოგვცა გასაუბრებამ. ამის შედეგად უნივერსიტეტში მოვიდნენ უძლიერესთა შორის უძლიერესნი. როგორც ცნობილია, ბიოლოგიურ და ფილოსოფიურ ფაკულტეტებზე შემსვლელნი არ აბარებენ მისაღებ გამოცდებს მათემატიკაში. მაგრამ ჩვენ ამ ფაკულტეტებზე გასაუბრება სწორედ ამ დისციპლინაში გვქონდა, რადგან შემდეგ ისინი ამ საგანს სწავლობენ უმაღლესი მათემატიკის კურსით.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ უნივერსიტეტის გამომცემლობის (დირექტორი ვ. გამყრელიძე) როლი მისაღებ გამოცდებზე. მან დიდი ტირაჟით დროულად გამოუშვა ბროშურა „მანქანური და კოდური გამოცდები მათემატიკაში“. წიგნში აღწერილია მათემატიკის წერითი გამოცდის დროს მანქანასთან მუშაობის წესი.

კიდევ ორიოდე კვირა, და ჩვენი უნივერსიტეტის ფართო და ნათელ აუდიტორიებში ყველა ფაკულტეტის პირველ კურსზე ორი ათას სამასი ახალგაზრდა შეუდგება მეცადინეობას.

მესხეთის ახალი თეატრი

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა გაზეთმა მკითხველებს რუსთავის ახალი თეატრის დაბადება ამცნო. დღეს კიდევ ერთი ახალი თეატრის შესახებ გვექნება საუბარი. ეს გახლავთ **მესხეთის** (ახალციხის) **სახელმწიფო დრამატული თეატრი**, რომელიც მიმდინარე წელს გახსნის თავის პირველ სეზონს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი რ. ჰელიძე ესაუბრა თეატრის დირექტორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **მიხეილ მეძმარიაშვილს** და სამხატვრო ხელმძღვანელს, ახალგაზრდა რეჟისორს **ნანა დემეტრაშვილს**. აი რა თქვეს მათ:

— მესხეთის თეატრის დაბადება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს დაემთხვა. ეს ფაქტი თავისთავად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ჩვენს ახალგაზრდა კოლექტივს.

თეატრი თავის პირველ სეზონს სექტემბრის პირველ რიცხვებში გახსნის. ვიფიქრეთ. ეს არც არის გასაკვირველი.

დასის შესახებ: თეატრში თავი მოიყარეს თბილისის თეატრალური ინსტიტუტისა და საგანმანათლებლო სასწავლებლის წლევანდელმა კურსდამთავრებულებმა. მათ შეუერთდა ადგილობრივ მსახიობთა ჯგუფიც.

სტუდენტებმა თავიანთი სადიპლომო სპექტაკლები ახალციხეში მოამზადეს. სწორედ ამ ნაწარმოებებს ნახავს მაყურებელი ჩვენს რეპერტუარში. ესენია: აღ. ჩხაიძის პიესა — „სიბრძნე სიკვდილისა“ (დამდგმელი რეჟისორი — თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი ნუგზარ გაჩავა), პ. კაკაბაძის — „კოლმეურნის ქორწინება“ (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალექსანდრე მიქელაძისა) და ჩეხი მწერლის იან ოტჩენაშეკის ნაწარმოები — „რომეო, ჯულიეტა და წყვიადი“ (ინსცენირების ავტორები არიან: ნ. გაჩავა და ი. კაკულია, დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. კაკულიას).

გარდა ჩამოთვლილი სპექტაკლებისა, პარალელურად ემუშაოთ ორ პიესაზე: პ. კაკაბაძის „ვარაყვარე თუთაბერსა“ (დგამს ჩვენი თეატრის რეჟისორი დ. ცისკარიშვილი) და ოთ. ჩხეიძის „თედორეზი“ (რეჟისორი ნ. დემეტრაშვილი). როგორც ხედავთ, რეპერტუარში ძირითადად ქართული პიესებია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თეატრი უარს ამბობს უცხოურ სპექტაკლებზე. შევიცდებით შემდგომში კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენი რეპერტუარი, მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ ქართველ მწერლებთან, მოვიწვიოთ სხვა თეატრების რეჟისორები და ა. შ. დღეისათვის კი ჩვენი მთავარი საზრუნავი აღნიშნული სპექტაკლებია, რომელთა სრულყოფისათვის ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივი ძალ-ღონეს არ ზოგავს...

თეატრი ორ-სამ წელიწადში ახალ შენობასაც მიიღებს. ჯერჯერობით კი ძველ შენობაში მიმდინარეობს რეპეტიციები. თეატრი პირველი სეზონისათვის ემზადება.

მშობლიური პეიზაჟები

ყვარლის „ზღვაზე“. ფოტო ს. კილაძისა.

ს. რ. ხუნდაძე



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ, ჯანმრთელობის დაცვამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ერთ-ერთი უხუცესი ქირურგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი სერგო რომანის-ძე ხუნდაძე.

ს. ხუნდაძემ ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. იგი დაიბადა 1883 წელს თბილისში. 1903 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში მონაწილეობდა სტუდენტთა გამოსვლებში,, ხოლო რეაქციის პერიოდში რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით საზღვარგარეთ— ბერლინში წავიდა.

ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ 1909 წელს წარჩინებით დამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია და საშუალოდ გაიგზავნა ფინეთში. ქალაქ სვაბორგში.

პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო ექიმად მუშაობდა სხვადასხვა ჰოსპიტალში, ხოლო ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ კვლავ ჰოსპიტლებში მუშაობდა ოდესაში, კიევში, ხერსონში. იყო ხერსონის გუბერნიის სამხედრო კომისარიატის სამედიცინო ნაწილის უფროსი.

1920 წელს დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მალე პროფესორ ა. მაჩავარიანის მიწვევით გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფაკულტეტო ქირურგიული კლინიკის უფროს ასისტენტად, სადაც მუშაობდა 1923 წლამდე.

1923 წელს მუშაობა დაიწყო ჭიათურის საავადმყოფოში ჯერ ქირურგად, ხოლო შემდეგ დაწინაურებულ იქნა მთავარ ექიმად. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჭიათურაში სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის განვითარების საქმეში. ჭიათურაში მუშაობის პერიოდში სამეცნიერო მივლინებით გაგზავნილი იყო ლენინგრადში და მუშაობდა პროფესორ ი. ჯანელიძესთან. ამ პერიოდში მან დაწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი.

1935 წელს სამუშაოდ გადმოდის ქ. თბილისში სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს წამყვან ქირურგად, ხოლო 1936 წლიდან მუშაობს ამავე საავადმყოფოს მთავარ ექიმად და დირექტორად. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან მუშაობს სხვადასხვა ევაკოჰოსპიტლებში ქირურგიული განყოფილების უფროსად, წამყვან ქირურგად და სხვ.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთავარ ექიმად, სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს მთავარ ექიმად და სხვ.

1959 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სასწრაფო დახმარების მესამე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ.

უანგარო, სპეტაკი შრომისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ს. ხუნდაძეს 1941 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მედლებით.

შრომისმოყვარე, ენერგიული და თავმდაბალი ადამიანის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს და თბილისის გ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოებები, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, თბილისის სასწრაფო დახმარების მესამე საავადმყოფო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შექმნა დამსახურებულ ექიმის **ს. ხუნდაძის** დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ჯახიანი** (თავმჯდომარე), აკადემიკოსი **კ. ერისთავი**, პროფესორი **გ. იოსელიანი**, სამკურნალო სამმართველოს უფროსი **გ. თვალთვაძე**, მესამე საავადმყოფოს მთავარი ექიმი **კ. ბორჯაძე**.

დამკრძალავი კომისიისაგან

საქართველოს სსრ **დამსახურებული ექიმის სერგო რომანის-ძე ხუნდაძის** პანაშვიდი **დანიშნულია 17 და 18 აგვისტოს 20 საათზე (ანაგის ქ. № 16), 19 ივნისს — 18 საათზე, გამოსვენება 17 საათზე სანკულტურის სახლიდან (ალეხანოვის პროსპ. № 101).**

ჰელსინკი ეზაზადეგა

18-დან 20 აგვისტომდე ჰელსინკში გაიმართება ევროპის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. სტარტზე გამოვლენ 17 ქვეყნის ნაკრები გუნდები.

პირველი ასეთი ასპარეზობა გაიმართა 1963 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. ლაიპციგში. მაშინ ამ შეჯიბრებაზე გათამაშებული ხუთი პრიზიდან საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ერთი მოიპოვეს, ხოლო 1965 წელს ავსტრიაში — ოთხი.

თასის მომავალ გათამაშებაში ჩვენი წყალში მხტომელების მთავარი მეტოქენი იქნებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები, აგრეთვე იტალიის გუნდი. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში შედიან: კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონი **ნ. ლობანოვა, გ. ალექსეევა, თ. პოგოუეევა, ვ. ბაკლანოვა,** ვაჟთა შორის ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი **მ. საფონოვი, ვ. ვასინი, ვ. პალაგინი.**

რ. ფიშერი დაენია ლიდერებს

იუგოსლავიის ქ. კრუშევოში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. გათამაშდა ექვსი ტური. გროსმაისტერი ფიშერი დაეწია გელერსს და ხოლმოვს. ახლა ტურნირს გელერის, ხოლმოვისა და ფიშერის სახით სამი ლიდერი ჰყავს. თვითეულმა მათგანმა 4,5 ქულა მოაგროვა. იუგოსლავ მატულოვიჩს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ბუბნის, ფილიპოვიჩის, მარიჩსა და მენინის (ყველა იუგოსლავიიდან) — სამნახევარ-სამნახევარი ქულა.

ფრე მოსკოვში

ამდენი მაყურებელი დიდი ხანია არ ახსოვს ლუჟნიკს. ესოდენ უზვეულო ინტერესი გამოწვეული იყო ჩემპიონატის ლიდერის დედაქალაქის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით.

სპარტაკელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს, ისინი 20 წუთის განმავლობაში ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, საგოლო მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ დინამოელთა გაძლიერებული დაცვა ვერ დაძლიეს. მალე თამაში გათანაბრდა, შემდეგ კი დინამოელთა კონტრთამაშის მოწმენიც გავხდით, მაგრამ გოლი მაინც არ ჩანდა.

მეორე ტაიმი პირველისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. მრავალი კარგი შესაძლებლობა დაიკარგა, კარები ხელშეუხებელი დარჩა. ძველ მეტოქეთა ასპარეზობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ლოკომოტივმა“ დაამარცხა ლიდერი

თბილისის „ლოკომოტივს“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი კრასნოდარში ჰქონდა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის ლიდერთან — კრასნოდარის „ყუბანთან“. თბილისელები აღმავლობით იბრძოდნენ და შეძლეს ლიდერის დამარცხება ანგარიშით 1:0.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 17 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	21	12	8	1	38-11	32
„დინამო“ (კ.)	21	10	9	2	25- 9	29
„დინამო“ (თბ.)	21	10	8	3	30-14	28
„სპარტაკი“ (მ.)	21	10	7	4	27-16	27
„შახტიორი“ (დ.)	21	8	9	4	25-24	25
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	21	8	7	6	34-22	23
„დინამო“ (მნ.)	21	7	9	5	29-21	23
„კრ. სოვ“.	20	5	12	3	12- 8	22
„ტორპედო“ (მ.)	21	9	4	8	25-26	22
სკა (როსტ.)	21	9	4	8	20-24	22
„არარატი“ (ერ.)	21	6	7	8	18-23	19
„ზარია“ (ლუგ.)	20	5	8	7	14-16	18
ცსკა	20	6	6	8	18-22	18
„პახტაკორი“ (ტ.)	21	3	11	7	19-23	17
„ტორპედო“ (ქ.)	21	4	8	9	19-29	16
„ლოკომოტ.“ (მ.)	21	4	6	11	15-24	14
„ჩერნომორ.“ (ო.)	21	4	6	11	13-29	14
„კაირატი“ (ალმ.)	21	3	8	10	15-31	14
„ზენიტი“ (ლ.)	21	5	3	13	14-38	13

სპორტული ქრონიკა

◆ **შვეიცარიის** ქ. ლინჩენბინგში დამთავრდა ახალგაზრდა მცურავთა ევროპის პირველი ჩემპიონატი, რომელმაც ჩინებული შედეგები მოგვცა. პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. აქ გათამაშებული 20 ოქროს მედლიდან მათ მოიპოვეს 8, ამასთანავე ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს 5 მედლის მფლობელები გახდნენ.

100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში პირველი ადგილები უნგრელებმა დაიკავეს. ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო **ლ. ჩეხი** — 1 წუთი და 10,9 წამი. გოგონათა შორის გაიმარჯვა **ა. იარმაკმა** — 1 წუთი და 10,1 წამი. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა ესპანელი ს. ესტევა — 17 წუთი და 49,8 წამი. გოგონათა შორის კომპლექსურ ცურვაში 200 მეტრზე ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ს. შტაინბახმა — 2 წუთი და 32 წამი.

◆ **„ა“ კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივები განაგრძობენ საკავშირო ტურნირს. გუნდებმა 15 აგვისტომდე გამართეს 24-24 თამაში. ლიდერია კისლოვოდსკის „სპარტაკი“, რომელსაც 36 ქულა აქვს. სპარტაკელებს 2 ქულით ჩამორჩებიან მახჩყალის დინამოელები. მესამე ადგილზეა გორის „დილა“ — 32 ქულა.**

◆ **ოლდერშოტში** გრძელდება იუნიორთა მსოფლიო პირველობის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება ფარიკაობაში. გუნდურ ჩათვლაში ლიდერია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთჭიდელთა კოლექტივი. საბჭოთა გუნდს მეორე ადგილი უკავია. პირად ჩათვლაში დაწინაურდა შვედი **იაკობსონი.**

ბოლო სვეტიდან

უკაცრიელი კუნძული ამეტყველდება

ყველა რუკაზე როდია აღნიშნული კლდოვანი ინონის კუნძული — რომელიც ოხოტის ზღვის უსაზღვრო სივრცეებშია გადაკარგული. უახლოესი გზა კუნძულისაკენ სახალინის ჩრდილოეთი კიდიდან — ეღისაბედის კონცხიდან —, ას ორმოცდაათი მილს აღწევს.

ახლა ამ კუნძულისაკენ მიემართება ჰიდრომეტეოსამსახურის ხომალდი „ატმოსფერო“, რათა შეასრულოს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გეგმებით გათვალისწინებული დაკვალება. მეცნიერებმა უნდა ააგონ კლდეზე ორი ავტომატური რადიომეტეოროლოგიური სადგური, რომლებიც სამ საათში ერთხელ გადასცემენ რადიოთი ამინდის მონაცემებს (საკადესის კორ.).

ნუშნო-სახალინსკი

„ჭიელიამ“ გადაკვეთა ობის უბე

ამას იუწყება საკადესის კორესპონდენტი სალეხარდიდან. ეს ამბავი დაბა ტაზოვსკიდან მოვიდა. მამაცმა მეზღვაურებმა მიხეილ სკოროხოდოვმა და დიმიტრი ბუტორინმა 15 აგვისტოს ღუზა ჩაუშვეს მდინარე ტაზის შესართავში, სადაც წინათ ჩრდილოეთის ძველი სავაჭრო ქალაქი მანგაზეა იყო.

მიწისძვრა ზღვისპირეთში

როგორც საკადესის ვლადივოსტოკელი კორესპონდენტი იუწყება, 15 აგვისტოს ღამით ზღვისპირეთში მოხდა მიწისძვრა. სეისმური სადგურის „ვლადივოსტოკის“ ხელსაწყოებმა 1 საათზე, 36 წუთსა და 32 წამზე ადგილობრივი დროით აღნიშნეს 6 ბალიანი ძალის მიწისძვრეში ბიძგი. 12 ბალიანი სკალით. მიწისძვრის ეპიცენტრია ქალაქი სპასკ-დალნი (185 კილომეტრი ვლადივოსტოკიდან). მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ვლადივოსტოკში ისმოდა გუგუნი, რომელიც ტაიფუნის ქროლვას მოგვაგონებდა, სახლებში მინები წკრიალებდა, ქანობდა ლუსტრები.

ჩვენი პლანეტის ამინდი

თქეში, ქარიშხალი, სუსხი

სამხრეთ ციმბირში ხან მზიანი ამინდია და ცხელა, ხან წვიმები და სიგრილეა. თქეშმა გადაუარა ირკუტსკის ოლქს. კარის ზღვიდან კონტინენტზე შემოიჭრა ავი არქტიკული ჰაერი. ეთერში გაიგზავნა სიგნალები — მოსალოდნელია სუსხი. და მართლაც, სუსხმა ციმბირის სამხრეთსაც კი გადაუარა. ადრეული სუსხი აქ ათ წელიწადში ერთხელ იცის.

ახლა დათბობა დაიწყო, უახლოეს დღეებში ციმბირის სამხრეთში 20-25 გრადუსი სითბო იქნება, გადაივლის ხანმოკლე წვიმები და ელჭექი. იაკუტიის სამხრეთში, ხაბაროვსკის მხარეში ციკლონია, მაგრამ მაინც ცხელა, დაახლოებით 30 გრადუსია, ზოგჯერ — ელჭექი. ზღვისპირეთში კარგი დარები დგას, ცხელა, მხოლოდ ბობოქარი მდინარეები იმანი და უსური მოგვაგონებენ ამასწინანდელ უამინდობას.

სსრ კავშირის დასავლეთში გაჩაღდა ბრძოლა კონტინენტის სითბოსა და ატლანტიკის სიგრილეს შორის. ცხელა კარელიაში, მურმანსკისა და არხანგელსკის ოლქებში, რუსეთის ცენტრალურ ოლქებში გაბიანურებული წვიმები შენელდა.

უნგრეთის დაბლობიდან ჩრდილოეთისაკენ სწრაფად დაიძრა ციკლონი, რომელიც ძალას იკრებს ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში. კალინინგრადის, კალინინის, სმოლენსკის, მოსკოვისა და ტულის ოლქებს თქეშმა და ელჭექმა გადაუარა, დროგამოშვებით ქარიშხალი ქროდა.

ცენტრალურ რუსეთშიც აგრილდა — 20-25 გრადუსია, წვიმებმა გადაიღო. მზიანი ამინდია და ცხელა უკრაინის აღმოსავლეთში, როსტოვის ოლქში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში — დაახლოებით 33 გრადუსია, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე 26-28 გრადუსი. კავკასიონის მთებში და სტავროპოლის მხარის სამხრეთში თქეშმა წყალდიდობა გამოიწვია თერგის სათავეებში, ბაქსანზე, მაღაანზე.

უახლოეს დღეებში მურმანსკის, არხანგელსკის ოლქებსა და კარელიაში ღრუბლიანი ამინდი იქნება, იწვიმებს და ეგრილება. ცენტრალური რაიონის ჩრდილოეთში 15-20 გრადუსი ტემპერატურა და მოღრუბლულობა იქნება, იწვიმებს, სამაგიეროდ ცენტრალური რაიონის სამხრეთში ნალექები მოსალოდნელი არ არის, იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა. ტემპერატურა 20-27 გარდუსი. ასეთივე ტემპერატურა იქნება ბალტიისპირეთში.

(ახალი ამბების სააგენტო).

ვერტმფრინავი ჭაში

კუიბიშევი, 15 აგვისტო. (საკადესის კორ. ა. ბარიშევსკი). იშვიათი სანახაობის მოწმენი გახდნენ მაყურებლები, რომლებიც მოვიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატზე საავტომფრინავო სპორტში. მაყურებელთა თვალწინ უზარმაზარი მი-1 ნემსიყლაპიასავით ჩაეშვა „ჭაში“ — 10 მეტრ სიმაღლეზე შემოღობილ მოედანზე, რომლის ფართობი 25X25 მეტრი იყო. ასეთ „ჭაში“ ჩაშვება და სხვადასხვა საგნების ჩამოყრა წრეში ერთი სამ ვარჯიშთაგანი იყო, რომლებიც ჩემპიონატის პროგრამაში შედიოდა. ეს ვარჯიში ყველაზე უკეთ შეასრულა მფრინავმა ვ. სამაროვმა რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა.

მეორე ვარჯიშში — სწორ ხაზზე ფრენაში ორ მეტრ სიმაღლეზე ჩამოშვებული შვეულათი გაიმარჯვა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელებაყოფილობითი საზოგადოების როსტოვის აეროკლუბის ინსტრუქტორმა მფრინავმა ი. გორიანსკიმ.

მფრინავმა ლ. კუჩენენმა ოქროს მედალი მოიპოვა მესამე ვარჯიშში, რომელიც ითვალისწინებდა 140 კილომეტრზე ფრენას რთული მარშრუტით.

მრავალჭიდში სსრ კავშირის ამსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი მიიღო მფრინავმა ი. ევსეევმა.

ჩვენ ვისლოთ, ჩვენ ეოვისეირთ

ტელევიზია

17 აგვისტო

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის — „იგავ-არაკები“, 18.20 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — განცხადებები, 18.45 — გადაცემა „ოქტომბრის შუქით“ განახლებული ლენინი, 19.45 — საუბარი „სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, 20.00 — გადაცემა — „მამათა სიმღერები“, 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1918 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „ვამოიძახეთ მარტინი!“, 23.10 — გადაცემათა პროგრამა 18 აგვისტოსათვის, 23.15 — სიმღერის მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოპოტიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

18 აგვისტო

09.30 — კინონარკვევი. 09.50 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი